ანალური ტერორი

ჩანაწერები სექსუალური რევოლუციის პირველ დღეებზე

ავტორი: პოლ პრეკიადო
მთარგმნელი: სალომე ქინქლაძე

ოიდიპოსი და ანალური კასტრაცია

თხრობა საიდანღაც უნდა დავიწყოთ, ამიტომ, მოდი, დავიწყოთ სულ თავიდან. მოდი, მოვყვეთ ანუსზე. გავაქროთ ცივილიზაციის გობელინი და იმ ხაზებით, რომლებიც ჩვენი ფეხებიდან იშლება, მოვქსოვოთ ახალი წრე. აი, რა გააკეთა გაიმ: მან ფსიქოანალიზის ნაცვლად საკუთარი თავი გაა-ანალ-იზა. მართალია, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შეხვედრებზე წარმატებით მლიქვნელობდა, მაგრამ სინამდვილეში ფროიდი უკვე წაკითხული ჰქონდა და ერთ ამბავს მეორეც მოჰყვა - ერთ დღესაც იმ შეკითხვამდე მივიდა, ჰქონდა თუ არა ოიდიპოსს ანალური ხვრელი.

,,იყო და არა იყო რა, იყო ანალური ხვრელი'', - თქვა მან და გამოიგონა მითი, რათა აეხსნა, თუ როგორ ჩამოვყალიბდით ჰეტერო და ჰომო ადამიანებად. მე ეს მითი ზეპირად ვიცი და მას ახლავე მოგითხრობთ: ჩვენ არც კაცებად ვიბადებით და არც ქალებად, არც ბიჭებად და გოგოებად. დაბადებისას ჩვენ სხვადასხვა სითხის, მშრალი ნივთიერების, გელის ნაზავი ვართ, რომელიც უცნაური ორგანოთი არის დაფარული. მისი ჭიმვადობა და წონა იმაზე მეტია, ვიდრე სხვა ყველაფერი: მას ჰქვია კანი. ეს საფარველი ყველაფერს ინახავს და იმ ცალკე გამოყოფილ ერთობას გვიჩვენებს, რომელსაც სხეულს ვუწოდებთ. საჭმლის მომნელებელი მილის გარშემო თავმოყრილი კანის ბოლო იხსნება და მისი საშუალებით ორი კუნთოვანი ღია ხვრელი ჩანს, ესენია პირი და ანუსი. შესაბამისად, განსხვავება აღარ არსებობს: ჩვენ ის ხორცშესხმული ზონარი ვართ, რომლის ერთი ბოლო პირიდან იწყება და ანალურ ხვრელთან მთავრდება. თუმცა, ეს ორი ხვრელი საკმარისზე მეტად სიმეტრიული იყო და სხეულებს აშინებდათ მათი განუსაზღვრელი შესაძლებლობა, სიამოვნება მიეღოთ ყველაფრისგან (დედამიწა, ქვები, წყალი, ცხოველები და კანის სხვა მილები), შესაბამისად, საკუთარი თავისა და სხვების კონტროლის გზებს ეძებდნენ. ეშინოდათ, რომ ეს კანი გენდერისაგან დაცლილ, სექსუალური სიამოვნების მიმღებ ორგანოდ ჩამოყალიბდებოდა და შესაბამისად, ამ მიზეზით, სხეულის მთელი მნიშვნელობა გადაიაზრეს. ასე მოხდა შიდა და გარე ნაწილების, პრივილეგიისა და დაქვემდებარებულობის ზონების მონიშვნა. საჭირო გახდა ანალური ხვრელის დაკეტვა, რათა პანსექსუალური სურვილის სუბლიმირება მომხდარიყო და ის სოციალურ კავშირად გარდაექმნათ, თითქოს ამგვარად საზოგადოება კერძო საკუთრებას მონიშნავდა. ანალური

ხვრელის დაკეტვა ნიშნავდა იმას, რომ მასში გადინებული სექსუალური ენერგია ღირსეულ და ჯანსაღ კაცურ ამხანაგობად, ლინგვისტურ ურთიერთგაცვლად, კომუნიკაციად, მედიად, რეკლამირებად და კაპიტალად გადაიქცეოდა.

წმინდა მამებმა, რომელთაც ეშინოდათ, რომ ადამიანის სხეული კაცად არყოფნის, ადამიანად არყოფნის, გარეულ ტახებსა და ყვავილებში ველურ და თავაშვებულ სიამოვნებას იგემებდა, ყველაფერი გამოიყენეს, რაც ხელთ ჰქონდათ (ცეცხლი, ბორბალი, ენა, ნუკლეანური ფიზიკა, ბიოტექნოლოგია…) და შექმნეს ტექნიკა, რათა ანუსისთვის ყველა შესაძლებლობა წაერთმიათ და დაეტოვებინათ დეფეკაციის ფუნქცია. მრავალი ცდის შემდეგ მათ ანუსის კასტრაციის საკმაოდ სასიამოვნო, წმინდა მეთოდს მიაგნეს: მიაკრეს დოლარი ბიჭის უკანალს და უთხრეს მას: ,,დაკეტე ანუსი და შენ გახდები მფლობელი, შენს საკუთრებაში იქნებიან [პარტნიორი] ქალი, ბავშვები, საგნები, შენს მფლობელობაში იქნება ხალხი/სახელმწიფო. ამ მომენტიდან შენ თავად შექმნი საკუთარ იდენტობას!'' კასტრირებული ანუსი ნაგვის გამოდევნის საშუალება გახდა: საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ბოლოზე არსებული ხვრელი, რომლითაც ფეკალური მასები გარეთ გამოიყოფა. ამგვარად შეიქმნა, დაიხშო, საგულდაგულოდ დაიხურა და საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ მოექცა ანალური ხვრელი. ასე დაიბადა სხეული, როგორც კერძო საკუთრება. როგორც თანამედროვე ქალაქშია სუფთა ქვაფენილები და ჰაერის დამაბინძურებელი საკვამურები, ისევეა ცემენტის ანუსები, რომლებშიც კოლექტიურად რეპრესირებული [სექსუალური ენერგია] სხვაგან არის მიმართული. სწორედ ასე დაიბადნენ მე-19 საუკუნის ბოლოს ჰეტეროსექსუალი კაცები, სხეულები კასტრირებული ანუსებით. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს უფროსებად და გამარჯვებულებად წარმოგვიდგენენ, სინამდვილეში ისინი ტრავმირებული სხეულები არიან, რომელთაც ერთ დროს ულმობლად მოექცნენ.

ჰეტეროსექსუალი კაცის ანალური ხვრელი მხოლოდ სადინარად აღიქმება და არა - ორგანოდ. ანუსი მათი კასტრაციის შედეგად დამჩნეული ნაიარევია. დაკეტილი ანალური ხვრელით სხეული ჰეტეროსექსუალური რეჟიმის წინაშე მასკულინობის პრივილეგირებულობის საფასურს იხდის. აუცილებელი გახდა, რომ [კასტრაციის] ზიანზე საუბრის ნაცვლად ძირითადი აქცენტი უპირატესობის იდეოლოგიაზე დასმულიყო, იმგვარად, რომ კაცებს მხოლოდ დეფეკაციისას გახსენებოდათ თავიანთი ანალური ხვრელი; სხვა შემთხვევაში თავი ყველაზე მნიშვნელოვნად, ძლიერად, უპირატესად განეხილათ. მათ სულ დაავიწყდათ ის, რომ კაცების ჰეგემონია მათსავე კასტრაციას დაეფუძნა. კასტრირებული ანუსი ჰეტეროსექსუალური საიდუმლოებაა. ანალური ხვრელის კასტრაციის კვალდაკვალ, როდესაც დოლარი ჩვილის სველ ნაწლავში ჩაიძირა, პენისი დესპოტ აღმნიშვნელად მოგვევლინა. ახალ დისნეი-ჰეტეროსექსუალურ მიწაზე ფალოსი ხელმისაწვდომ მეგა-$-პორნო-ფეტიშად იქცა.

კასტრირებული ანუსის მქონე ბავშვებმა შექმნეს თემი, რომელსაც ქალაქი, შტატი, სახელმწიფო უწოდეს. მათ ის სხეულები დატოვეს მიღმა, რომელთა ანუსები ღია დარჩა, მათ შორის იყვნენ ქალები, რომლებსაც ორმაგი ხვრელი ჰქონდათ ანუსისა და ვაგინის სახით და მათს მთლიან სხეულს საშვილოსნოს ღრუდ გადაქცევა შეეძლო, რომელიც მომავალ მოქალაქეებს უმასპინძლებდა. აგრეთვე იყვნენ ფაგოტი სხეულები, რომელთა კასტრირებაც კონტროლის მექანიზმმა ვერ შეძლო. სხეულები, რომლებიც უგულებელყოფენ ყოველივე იმას, რასაც სხვები ანატომიურ მტკიცებულებად მიიჩნევენ და რაც ცვლილებასა და ტრანსფორმაციას ცხოვრების ესთეტიკურ ნაწილად აქცევს. დაკეტილი ანუსების საზოგადოება შეკავშირებული და შეწებებულია ისეთი სულელური სვეტებით, როგორებიცაა ოჯახები, მათი ანალურად კასტრირებული მამებითა და მათი ღრუ ორგანო დედით, რომელიც მზადაა, ახალი კანის მილები მოუვლინოს სამყაროს. მათ ანალური ხვრელები მალევე ჩამოეხევათ… მანამ, სანამ ერთ დღეს კრავთა მრისხანება არ დაისადგურებს და არაკასტრირებული სხეულები არ აჯანყდებიან.

ტერორისტული ტექსტები

თუკი ეს ყოველივე ზედმეტად სწორხაზოვნად და კონტრბიბლიურად მოგეჩვენებათ, თუკი ფსიქოანალიზი არქეოლოგიით ჩაანაცვლეთ, თუკი უფრო მეტად მიკრო რევოლუციების არქივი გაინტერესებთ, ვიდრე - ტიტანების ბრძოლა, მე შემიძლია, სხვაგვარადაც მოგითხროთ ეს ამბავი.

1971 წელს როლანდ ბარტმა, რომელსაც საკუთარ ჰომოსექსუალობაზე საჯაროდ საუბარი უფრო მეტად გაუჭირდა, ვიდრე ჰერმენევტიკა, ახალი კატეგორია გამოიგონა, რაც, ვერც კი წარმოედგინა, რომ ყველაზე შესაფერისი აღწერა აღმოჩნდებოდა იმ წიგნისათვის, რომელიც მომდევნო წელს გაი ჰოკენჰეიმმა დაწერა: ტექსტობრივი ტერორიზმი. ,,შადე, ფიურერი, ლოიოლაში'' ბარტი შენიშნავს, რომ ტექსტები, რომელთაც ,,სოციალური ინტერვენცია'' შეუძლიათ, ტერორისტულია, ოღონდ არა იმდენად მათი პოპულარობის ან წარმატების გამო, არამედ, იმ ,,ძალადობის გამო, რომელიც საშუალებას აძლევს ტექსტს, *წინ გაუსწროს* კანონებს, რომლებსაც საზოგადოება, იდეოლოგია ან ფილოსოფია საკუთარ თავს უწესებს, რათა ისტორიული გარკვეულობის მიზნით შეთანხმებას მიაღწიონ.'' ჰოკენჰეიმის ,,ჰომოსექსუალური სურვილი'' ჰომოსექსუალობის შესახებ დაწერილ მორიგ წიგნად არ უნდა ჩავთვალოთ. ის პირველი ტერორისტული ტექსტია, რომელიც პირდაპირ შეეწინააღმდეგა ჰეგემონურ ჰეტეროსექსუალურ ენას. კაპიტალიზმისა და ჰეტეროსექსუალობის ურთიერთკავშირის შესახებ აქ განვითარებული კრიტიკული ხედვა ეკუთვნის ფაგოტს, რომელიც საკუთარ სტატუსს არ მალავდა და თავს ,,სოციალურ ნაგვად'' და ,,არანორმალურად'' მოიხსენიებდა.

ჰოკენჰეიმის ტექსტში ვერ შეხვდებით მობოდიშებას, ვერც თავის მართლებას ან რამეს მტკიცებას ამოიკითხავთ. ვერ შეხვდებით იმიტომ, რომ გაის აღარ სურს კარგი ბიჭობა, სამართლებრივი მოწყალების მოთხოვნა და ,,ჰეტერო პოლიციელებთან'' ნამცეცებზე მათხოვრობა. აი, რას გვასწავლის გაი ჰოკენჰეიმი: სწორედ მაშინ იწყება რევოლუცია, როცა მოწყალებას აღარ მოითხოვ, როცა ვინმეს ნამცეცების მოლოდინში ხელებში აღარ უყურებ. [რევოლუცია იწყება] ადგილობრივ დონეზე და ქვემოდან ზემოთ. შესაძლოა, ფიესტა, პარადოქსულია, მაგრამ მაინც მოიაზრებს კონკრეტულ სიმყიფეს, რადგანაც სიმდიდრე ყოველთვის ჰეგემონიის მხარესაა.

მარტივი არ იქნებოდა ჰეგემონიურ ენაში შეღწევა. ანუ, ჰოკენჰეიმის სწრაფვა, ფრთხლად შეეღწია სამედიცინო, ფსიქიატრიის, ფსიქოანალიზისა და მედიის დისკურსებში… და ასე უწყვეტად, თითქოს ეს იყო იმ ამოცანის დასაწყისი, რომლის ამოხსნასაც ჩვენ საუკუნეების მანძილზე განვაგრძობთ. რადგანაც, მოდი, ნუ დავივიწყებთ, რომ იყო დრო, როდესაც არანაირი ენა არ არსებობდა ჰეტეროსექსუალური ნარატივის მიღმა, დრო, როდესაც არაფერი იგულისხმებოდა ჰომოსექსუალობის დომინანტური დისკურსების გარეთ.

იყო დრო, როდესაც კრაფტ-ებინგი სექსუალური დევიაციების კლასიფიკაციებს აყალიბებდა, დრო, როცა სოდომისტებს სამართლებრივად დევნიდნენ, დრო, როდესაც მდიდარი ოჯახების მამიკოები მათი ლესბოსელი გოგოების სამაგალითო ცოლებად გარდაქმნას ფროიდს მიანდობდნენ; იყო ელექტროშოკებისა და ლობოტომიის დროც, ის პერიოდიც, როდესაც ,,სახეობებში ბიოლოგიური დეგენერაციის მიზეზებს'' იკვლევდნენ. იყო ,,მენტალური ჰერმაფროდიტობისა'' და ,,თანდაყოლილი ინვერსიის'', ,,ჰომოსექსუალის ქალური ტვინისა'' და ,,ლესბოსელის მამაკაცური სხეულის'' შესახებ საუბრის დროც. ასევე ხანა, როცა პერვერტის ,,გაფართოებულ ანუსსა'' და ,,ლესბოსელის გაფართოებულ კლიტორზე'' საუბრობდნენ. ,,იასამნისფერებისთვის'' საკონცენტრაციო ბანაკებსა და ამორალურ ქცევაში ბრალდებულების განცალკევებით მყოფ ციხეებში განთავსების დროც გამოვიარეთ.

1869-1969: პერიოდი, როდესაც დასავლეთი სრულიად აუმჯობესებს სიკვდილის ტექნოლოგიებს (რასაც ის ,,სახეობების გამოსწორებას'' უწოდებს) და, ამავდროულად, თეთრკანიან ჰეტეროსექსუალთა ოჯახს მაღალ ღირებულებას ანიჭებს. ამ ოჯახის წევრებს, მამას, დედას, ძმას და დას - არც ერთს არ გააჩნიათ ანალური ხვრელი. თუმცა, დას ექნება თუ არა ანუსი, ეგ ისედაც უმნიშვნელოა.

1869 წელს, როდესაც ცენტრალურ ევროპაში სამედიცინო-სამართლებრივმა ენამ პირველად განსაზღვრა განსხვავება ჰეტეროსექსუალობასა და ჰომოსექსუალობას შორის და ის

ნორმალურსა და პათოლოგიას შორის მორალურ და ბიოლოგიურ ბრძოლად განმარტა, ხოლო 1969 წელს, როდესაც პირველი მოძრაობები გაჩნდა, რომლებმაც აშშ-სა და ევროპაში ჰომოსექსუალთა უფლებების დაცვა დაიწყეს, ჰეტეროსექსუალური დისკურსი სხეულისა და სახეობების შესახებ ერთადერთი ბიოპოლიტიკური ენა იყო.

,,არანორმალურები'' არსებობდნენ, თუმცა, მათ ჯერ საკუთარი თავის შესახებ კოლექტიური ცოდნა უნდა აეგოთ. მათ არ გააჩნდათ ისტორია, მათ ჩაგვრა ძალაუფლების მიმართ კრიტიკულ ხედვად უნდა გარდაექმნათ. ანალური ენა ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ეს იყო ბოდიშების, გამართლებებისა და სირცხვილის დრო: დრო, როდესაც დევნის ან საზოგადოებისგან მოსალოდნელი ზიზღის გამო უმჯობესი გახდა, მესამე პირში დაწერილი ,,სიყვარული ბერძენ კაცებს შორის'' ბაროკოს სტილის მობოდიშებების მიღმა დამალვა. კარლ ჰაინრიხ ულრიხის ,,მაგნეტიზმის'' დროც იდგა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ,,კაცის სხეულში დატყვევებული ქალის სული'' ბუნებრივი ლტოლვის ობიექტია სხვა კაცისათვის. იყო დრო, როდესაც პრუსტის სიტყვები ჰომოსექსუალობას ნიღბავდნენ, დრო, როდესაც გაიდი მასკულინური ჰომოსექსუალობის დაცვისას მიზოგინიურ არგუმენტებს დაეყრდნო, რომლის მიხედვითაც ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებოდით, ისტორიას მხოლოდ კაცები თუ შექმნიდნენ.

ჰეტეროსექსუალობა, ერთი შეხედვით, ბუნების მიერ აშენებულ კედელს ჰგავს, მაგრამ ის მხოლოდ ენაა: ნიშნების ნაკადი, კომუნიკაციის სისტემები, იძულებითი ტექნიკები, სოციალური ორთოპედია და სხეულებრივი სტილი.

მაგრამ როგორ გავიგოთ, ვის შეუძლია დომინანტურ ენაში შეღწევა? როგორი სხეული აქვს მას, ვინც ამას აკეთებს? რომელი იარაღების საშუალებით ხდება ეს მოქმედება?

ან, სხვაგვარად რომ დავსვათ შეკითხვა, როგორ დაიწყო ანალური რევოლუცია?

ყოველივე ეს საბავშვო ზღაპარივით დაიწყო; იმასაც კი იტყოდა ადამიანი, გოგოების ზღაპარივითო, ბავშვობაში ფემინური და მასკულინური კატეგორიები უბრალო საგანმანათლებლო უტოპია რომ არ იყოს. ,,ჰომოსექსუალური სურვილი'' ყველაზე მეტად ადრეულ ბავშვობას უკავშირდება'', - თქვა გაი ჰოკენჰეიმმა. ნუ დაფეთდები, ჩვენ არ ვსაუბრობთ ეკლესიის მსახურ კაცებზე, ან იმ მამებზე, რომლებიც აღსარების ჯიხურებსა და სკოლის დერეფნებში ბავშვებზე ნადირობენ. ეს საუბარი ბავშვის სხეულსა და მის სურვილებს ეხება, მიიღოს სიამოვნება ყველაფრისგან, გარდაისახოს ყვავილად და გარეულ ტახად.

50-იანებში, როდესაც ,,ესპანეთი'' ფრანკოს რეჟიმისგან იტანჯებოდა და ალჟირი უკონტროლო მდგომარეობაში იყო, ჩვენმა ფრანგმა მეზობლებმა მასობრივი მოხმარების კულტურა აღმოაჩინეს და უცებ ბაზრის ახალი სუბიექტი გამოიგონეს. აშშ-ს ეკონომისტები მას უკვე *თინეიჯერს* უწოდებდნენ და შოკოლადის ფილებითა და კოკა-კოლით უმასპინძლდებოდნენ. მას შეუქმნეს სპეციალური სტილი და პრობლემებთან გამკლავების არაკეთილსინდისიერი გზების გამოყენების საშუალება. შრომის ბაზარზე გასვლამდე თავდაპირველად მას უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა გაუზარდეს. წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ახალ, ჰედონისტურ პოლიტიკურ სუბიექტს აყალიბებდნენ. იგი იყო მდიდარი, მაგრამ უკმაყოფილო, ენერგიით სავსე და მზად ახალი გამოცდილებების მისაღებად.

შუა სამოციანებში, ატლანტიკის სხვა მხარეს, მაგრამ იმავე ადგილას (მოხმარება + კულტურა + სხეულებრივი ექსპერიმენტები) *ჰიპების* დიდმა ნაწილმა უცნაური სამყარო ააგო, რომელიც ფსიქოდელიური ნარკოტიკების, როკ'ნ'როლის, ფერადი სათვალეებისა და სექსისგან შექმნეს. თავიანთი ცეკვით ჰიპები ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო ბლოკს ქმნიდნენ. ზოგიერთმა მათგანმა მოულოდნელად ანუსის არსებობა აღმოაჩინა. 1968-1988: 20 წელი, რომლის ფარგლებშიც თინეიჯერებმა საკუთარი ინსტიტუტების, მითების, სუბიექტურობის შექმნის ტექნიკების გამომუშავება გადაწყვიტეს, როგორც კრიტიკისა და შესაძლო ტრანსფორმაციის ობიექტისა. მუსიკისა და ნარკოტიკების ცვლილების მიუხედავად, ექსპერიმენტაციის აღგზნებული სურვილი მაინც დარჩა. ამ წლებში ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდა მცირე რევოლუციები, რომლებიც ტრადიციულ ამბოხთან შედარებით, საკმაოდ პოეტური, უაზრო, სპონტანური და სხეულებრივი იყო. ეს რევოლუციები ტრადიციულ პოლიტიკას ბრძოლის მთავარ ადგილად არ განიხილავდა.

უნივერსიტეტის ცოდნით დაჯილდოვებულმა მოზარდებმა 1968 წელს პარიზის ლათინური კვარტლის ქუჩები დაიკავეს. საკლასო ოთახები, რომლებიც აქამდე ინდოქტრინაციის ადგილს წარმოადგენდა, პოლიტიკური დებატების სივრცედ იქცა. მოსწავლეების თავებში მარქსი და თეატრი გაჩნდა: ისინი შეუძლებელს ითხოვდნენ, ხედავდნენ სანაპიროებს მეტროპოლისის ქვაფენილების ქვეშ და გეგმავდნენ, რომ სამოქალაქო კოდექსი ერთი სლოგანით ჩაენაცვლებინათ: აკრძალვა ნებადართული არ არის. ქუჩის აჯანყებებს საფრანგეთის ისტორიაში მუშათა დიდი გაფიცვების ტალღა მოჰყვა. აჯანყებამ ერთმანეთთან დააკავშირა ქარხნის მუშები, ჟურნალისტები და სწავლული ბავშვები.

მაგრამ მათ მიერ გამოცხადებული რევოლუცია, რომელიც კლასობრივი ბრძოლის დასასრულს ეფუძნებოდა, კაცური საქმე იყო და არა ჰომოსექსუალთა საკითხი. მემარცხენეობამ საკუთარი საზღვრები დააწესა: არანაირი ფაგოტები, არც ქუინები, არანაირი ნარკოტიკი, მხოლოდ ალკოჰოლი, მასკულინობა და გოგოები. ჰოკენჰეიმი გვაფრთხილებს:

,,შესაძლებელია, რომ რევოლუციური პოლიტიკა, თავის მხრივ, რეპრესიულ პროცესებს მოიცავდეს.'' დროებითი გაკვეთილი: რევოლუციები სულაც არ არის ისეთი, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს. ის მიზეზები, რომლებიც ძალაუფლების ლოგიკის სათავეში შეიძლება, მოექცეს, სინამდვილეში სულაც არ არის რევოლუციური. რევოლუციები ხშირად არც საუკეთესო გზებით ხორციელდება და არც საუკეთესო მიზეზებით. ამავდროულად, ყველანაირ რევოლუციურ მოძრაობას მარკეტინგის ოფიცერი ჰყავს: ის, ვინც რევოლუციურ ბლოკს იარლიყს მიაკრავს და იტყვის, თუ ვინ მიეკუთვნება ან არ მიეკუთვნება მას. შეჯამება: რევოლუციები საკუთარ საზღვრებსაც აგებენ. დასკვნა: რევოლუციას ანალურ ფაზამდე ჯერ კიდევ არ მიუღწევია.

სულ მალე გოგოებმა, ფაგოტებმა, ქუინებმა და ტრანსსექსუალებმა მასკულინური მემარცხენე მოძრაობის წინააღმდეგ ანალური დაპირისპირება გააჩაღეს. 1970 წლის 26 აგვისტოს საფრანგეთში ქალების მცირერიცხოვანმა ჯგუფმა (რომელთა შორისაც იყვნენ კრისტინ დელფი და მონიკ ვიტიგი) ქუჩის პაროდია შეასრულა, რომელიც პარტიზანული თეატრის სცენებიდან იყო ინსპირირებული. ამ პერფორმანსში ისინი უცნობი ჯარისკაცის ცოლს მიაგებენ პატივს: ,,ამ ქვეყნად უცნობ ჯარისკაცზე უფრო მეტად უცნობი ვინმეც არსებობს და ეს მისი ცოლია'', - ნათქვამი იყო წარწერაზე. ეს ჩვენება იყო ისტორიიდან ქალების გაუჩინარებისა და მასკულინური დომინაციის კრიტიკა ყველა იმ ინსტიტუტში, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურობას განსაზღვრავს, როგორიცაა ოჯახი და სამსახური, ასევე იმ ინსტიტუტებში, რომლებიც ინახავს, მონუმენტად აქცევს და აწარმოებს ისტორიას. ამ შედარებით მოკრძალებულმა ნაბიჯმა თავდაპირველად მედიის ყურადღება მიიპყრო, რასაც შემდგომში ქალთა გამათავისუფლებელი მოძრაობის (MLF) წარმოშობა მოჰყვა.

რამდენიმე თვის შემდეგ მოძრაობამ თეთრკანიანი, ჰეტეროსექსუალი, ლიბერალი ფემინისტების (ისეთი ლიდერები, როგორებიცაა ანტუანეტა ფუკი და ჟიზელა ჰალიმი) დახმარებით ძალები აღიდგინა. ისინი ძირითად ყურადღებას ქალთა რეპროდუქციულ უფლებებზე (აბორტი, შობადობის კონტროლი) ამახვილებდნენ. ამ ლიბერალმა ფემინისტურმა მოძრაობამ საკუთარი დომინანტური ფემინისტური დისკურსიდან ლესბოსელების, ქუჩის ქუინების, სექს მუშაკებისა და იმიგრანტი ქალების ექსკლუზია მოახდინა. დროებითი გაკვეთილი: რევოლუციები სულაც არ არის ის, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს, ბლა, ბლა, ბლა. დასკვნა: არ ვიცი, რატომ ვტყუვდებით, რომ თითქოს ჰომოსექსუალური რევოლუცია გეი კაცებმა მოახდინეს. მოდი, შევასწოროთ: ჰომოსექსუალური რევოლუცია ლესბოსელებმა, ფემინურმა ფაგოტებმა და ქუინებმა დაიწყეს და ისინი იყვნენ ერთადერთი, ვისაც სწორედ გადარჩენისათვის სჭირდებოდათ რევოლუცია. ამ პოლიტიკური ზიგზაგების დროებითი მინიშნება: ანალური რევოლუცია ნელი ტემპით განხორციელდება.

აშშ, 1969: ქალთა სხვადასხვა ჯგუფმა, რომლებიც ომის საწინააღმდეგო ბრძოლებიდან და ფერადკანიანთა სამოქალაქო უფლებების მოძრაობებიდან მოულოდნელად გაჩნდნენ, ატლანტის ქუჩები დაიკავეს. ისინი "მის ამერიკის" სილამაზის კონკურსს დასცინოდნენ და ,,აუნაზღაურებელ სექს სამუშაოში ჩართული ქალების ემანსიპაციას'' მოითხოვდნენ. რამდენიმე თვეში კალიფორნიის ყველა უნივერსიტეტში ქალთა კრებები გაჩნდა და გაფიცულები ქვეყნის ყველა ძირითად მუზეუმთან და სამოქალაქო ცენტრების წინ გამოვიდნენ. ფემინისტებმა ჩაგვრის სპეფიციკური ფორმა გამოყვეს, რომელსაც ,,სექსიზმი'' უწოდეს, ნათესაურ კავშირებზე დამყარებულ სისტემას, რომელიც სექსიზმს ლეგიტიმაციას აძლევს - ,,პატრიარქატი'', და საჯარო სივრცეში ქალთა ემანსიპაციისთვის საჭირო სტრატეგიები შეიმუშავეს: ოჯახის ინსტიტუტში დედისა და ცოლის ტრადიციული როლებისგან გათავისუფლება, კონტრაცეფციასა და აბორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ეკონომიკური დამოუკიდებლობა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა.

აჯანყება ქალთა ეროვნულმა ორგანიზაციამ (NOW) შთანთქა. ეს ჯგუფი 1966 წელს ბეტი ფრიდანმა ჩამოაყალიბა. ორგანიზაცის ძირითადი სამუშაო მიმართულება ქალებსა და კაცებს შორის სამართლებრივი თანასწორობის მიღწევა იყო. ამ ორ პოლუსს შორის თანასწორობისთვის ბრძოლამ, როგორც ჩანს, უხილავი და იდუმალი გახადა ქალთა კოლექტივებს შიგნით არსებული შიდა განსხვავებები და იმგვარი ფემინისტური სუბიექტი ჩამოაყალიბა, რომელიც საკუთარ სექსუალურ და პოლიტიკურ უმცირესობებს უგულებელყოფდა. დროებითი შეჯამება: ჰეტეროსექსუალურ ფემინიზმს ანალური რევოლუციის ეშინია.

1970 წლის მაისში რიტა მაი ბრაუნი ,,ლავანდერ მენასთან'' (,,ლავანდის მუქარა'') ერთად წინ აღუდგა ლესბოსელთა ექსკლუზიასა და მათი მოთხოვნების მარგინალიზებას ქალთა ეროვნულ ორგანიზაციაში. ასე გაჩნდა ფემინიზმსა და ,,რადიკალურ ლესბოსელობას'' შორის პირველი ბზარი. დროებითი შეჯამება: ფემინიზმმა საკუთარი ანუსის კასტრირებაც მოახდინა.

საფრანგეთში, პარიზის თეატრში, 1971 წლის 5 მარტს პროფესორმა ლიჟენმა აბორტის საწინააღმდეგო ლექცია ჩაატარა. მწერალი და მემარცხენე აქტივისტი, ფრანსუა დ'იუბონი, რომელიც ქალთა გამათავისუფლებელი ორგანიზაციის წევრი იყო, ლესბოსელთა ჯგუფთან ერთად სოსისებით შეიარაღებული თავს დაესხა მას. ასე შეიქმნა ,,სოსისთა კომანდოსი'', მოგვიანებით კი ,,ჰომოსექსუალთა რევოლუციური ქმედების ფრონტად'' (FHAR) ფორმირდა. ,,სოსისთა კომანდოსმა'' ანალური ტერორიზმი გამოიგონა. სოსისი სიმბოლურად ერთდროულად პოლიციელის ხელჯოხისა და პენისების, როგორც ტრადიციული პოლიტიკის ინსტრუმენტების, სასაცილოდ აგდებას გამოხატავდა. სოსისი ანალურ ხვრელთან არის დაკავშირებული: მას ცხვრებისა და ღორების ნაწლავური ქსოვილისგან ამზადებენ და მისი

ფორმა ყოველთვის გვახსენებს ადამიანის ან ცხოველის ფეკალიებს. საკმაოდ მალე ეს ჯგუფი თავს დაესხა რადიოსადგურს, სადაც ეთერში გადიოდა მენი გრეგორის გადაცემა თემაზე ,,ჰომოსექსუალობა, როგორც მტკივნეული პრობლემა''. საზოგადოებრივი ანუსი თუ უნდა გაიხსნას, მაშინ ეს კულტურის გავლით უნდა მოხდეს. მასმედია ფართოდ გავრცელებული და გაფანტული ქსელებისგან შედგება, რომლითაც იდენტობა აიგება და მისი ნორმალიზება ხდება. ანალური ტერორიზმი კულტურულ ტერორიზმს უდრის.

მაშინ, როდესაც ლესბოსელები ჰეგემონური ფემინიზმის შექმნის პროცესის ფონზე ჩაიკარგნენ, ფაგოტები და ქუინებიც გამოირიცხნენ ულტრამემარცხენე პრაქტიკებიდან და დისკურსებიდან. ამ დისკურსებში ,,ჰომოსექსუალობა'' და ,,ნარკოტიკები'' ბურჟუაზიული უზნეობის სიმპტომებად განიხილებოდა.

1971 წელს საფრანგეთში ,,ჰომოსექსუალთა რევოლუციური ქმედების ფრონტის'' გაჩენა ისეთი მწერლებისა და აქტივისტები გარშემო, როგორებიც არიან დენიელ გერინი, ჟან-ლუის ბორი, ფრანსუა დ'იუბონი, გაი ჰოკენჰეიმი, რენე შერერი და მიშელ კრესოლი, ფემინისტური და მემარცხენე ჯგუფებიდან ფაგოტების, ლესბოსელების, ტრანსსექსუალებისა და ქუინების გარიყვაზე საპასუხო რეაქცია იყო. ,,ჰომოსექსუალთა რევოლუციური ქმედების ფრონტი'' 1986 წლის მაისის ჰომო- და ლესბოფობიური ნარჩენებისა და ფემინისტური მოძრაობისგან შეიქმნა. მისი მიზანი ულტრა-მემარცხენე მოძრაობის შუაგულში თვალსაჩინო სექსუალური პროტესტი იყო; ასევე სექსუალობის პოლიტიზირება არკადის მოძრაობისგან დისტანცირებით, რომელიც მასკულინურ ჰომოსექსუალობას ბუნებრივ მიდრეკილებად განიხილავდა (ხშირად საიდუმლო, პირადი და სასირცხვილო), რომლის წინაშეც ჰომოსექსუალ სუბიექტს არანაირი არჩევანი არ გააჩნდა, მხოლოდ მოთხოვნა, რომ საზოგადოებისგან დაფასებული ყოფილიყო.

გაი ჰოკენჰეიმმა ,,ჰომოსექსუალური სურვილი'' ,,ჰომოსექსუალთა რევოლუციური ქმედების ფრონტში'' იმ დროს დაწერა, როდესაც დომინანტური ევროცენტრისტული დისკურსები ირღვეოდა, მაგრამ ასევე არკადის ,,კარგი ჰომოსექსუალები'' და ლიბერალური ფემინიზმის ,,კარგი გოგოები'' ერთმანეთისგან ითიშებოდა.

,,ჰომოსექსუალთა რევოლუციური ქმედების ფრონტში'' ჰოკენჰეიმმა ისწავლა, რომ დომინანტური ენის რღვევა შესაძლებელია. ფრონტმა მომავალი ანალური რევოლუციისა და ქვიარ ფემინიზმისთვის საჭირო გრამატიკა გამოიგონა: გინოციდი, ფალოკრატია, ეკოფემინიზმი... ფრონტმა გააკრიტიკა ჰომოსექსუალობის მჩაგვრელი პოლიტიკური რეჟიმი, რომელსაც ფრანსუა დ'იუბონმა პირველად უწოდა ,,ფალოკრატიული'' და ,,ჰეტერონორმატიული''. მან გააკრიტიკა ,,ჰეტეროპატრიარქალური'' ნორმალიზების ყველა ინსტიტუტი (ოჯახი, სკოლა, საავადმყოფო, ციხე) და კაპიტალისტურ სისტემაში იდენტობის

შემქმნელი აპარატების ცენტრალურობის საკითხი. 70-იანებში სახვითი ხელოვნების სკოლის ამფითეატრი პარიზში (სადაც ,,ექთ აფის'' წევრები იკრიბებოდნენ 90-იანებში) იყო ადგილი, სადაც ყოველ ხუთშაბათს იკრიბებოდნენ ,,ჰომოსექსუალთა რევოლუციური ქმედების ფრონტის'' წევრები. ეს ადგილი ახალი პოლიტიკური წარმოსახვითი რეალობების შექმნის სივრცედ იქცა. რასა, კლასი და საჯარო სექსი ამ დებატების ცენტრალურ საკითხებს წარმოადგენდა. სხვადასხვა თემაზე ხაზგასმა (,,ფაგოტები და ინსტიტუციები'', ,,არაბებთან სექსი'', ,,მოზარდთა სექსი'', ,,კლიტორული სიამოვნება'', ,,პროლეტარიატი და სოდომი'', ,,მხარდაჭერა ეროტიკულ სკოლას''...) ანალური კასტრაციის მიმართ ექსპლიციტური წინააღმდეგობის გაწევა იყო. კასტრაცია, რომელიც მემარცხენეთა ენაში დომინირებდა.

ფრონტს ,,გაზოლინები'' შეუერთდნენ (რომელიც ფაგოტებისგან, ქროსდრესერებისა და ქუინებისგან იყო დაკომპლექტებული, მათ შორის იყვნენ მერი ფრანსი, ელენა ჰეზერა და მოდ მოლინე). გლემ როკ კულტურის გავლენით ისინი პირველები აღმოჩნდნენ, ვინც საჯარო სივრცეში პაროდიის თეატრის ის ტექნიკები და პრაქტიკები გამოიყენა, რომლებიც ქვიარ თეორიის მიერ რეკონცეპტუალიზებულ იქნა, როგორც პერფორმატიულობა ან ბანაკის პოლიტიკა. ეს იგივეა, უკრავდე მუსიკას ანალურად კასტრირებული და უბრალო მემარცხენეებისთვის. ეს მათთვის ვარდისფერბუმბულებიანი ყელსახვევის, კოკა-კოლისა და ესტროგენის რამდენიმე მილიგრამის გადაგდებას ჰგავდა. 1971 წელს ფრონტმა პირველი დემონსტრაცია გამართა პარიზის ქუჩებში სლოგანებით: ,,ჩვენი სხეულები პოლიტიკურია'', ,,ოჯახი = გარემოს დაბინძურება'', ,,პროლეტარებო მთელი ქვეყნებისა, გქონდეთ ანალური სექსი''... ასე მოხდა ჰეგემონური ენისა და მისი ტრანსკრიპტის, საჯარო სივრცის გარღვევა.

იმავე წელს, ფრანკოს დიქტატურის რეჟიმში, ჰომოსექსუალთა ჩაგვრის პასუხად, საიდუმლო ჯგუფი ,,ესპანური მოძრაობა ჰომოსექსუალური გათავისუფლებისთვის'' (MELH) ჩამოყალიბდა. ჩაგვრის ხელშემწყობ რისკს წარმოადგენდა კანონი საფრთხესა და სოციალურ რეაბილიტაციაზე. თუმცა, ამ მოძრაობის აქტივობები პოლიციის უხეში დევნის გამო შეზღუდული იყო. მოგვიანებით ეს ჯგუფი კატალუინიის გეი გამათავისუფლებელ ფრონტად იქცა, თუმცა საზოგადოებრივი ფორმა 1977 წლამდე, დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლამდე, არ მიუღია. ბარსელონაში, რამბლას ქუჩაზე, ოფიცრებსა და მღვდლებს შორის ოკანა გამოვიდა აღლუმზე. ის ანდალუზიელი ქალიშვილივით იყო გამოწყობილი და უკან მოჰყვებოდა ნაზარიო და ორმოცი ფაგოტი.

ამასობაში, 1972 წელს, გამოჩნდნენ წითელი ლესბოსელები, მათ შორის, მონიკ ვიტიგი, კრისტინ დელფი და მარი-ჯო ბონეტი. მათი გამოსვლა მემარცხენე მოძრაობების, მათ შორის, ,,ჰომოსექსუალთა რევოლუციური ქმედების ფრონტის'', ,,ფალოცენტრულ'' და ,,ლესბოფობიურ'' დამოკიდებულებებზე საპასუხო რეაქცია იყო. წითელი აქტივისტების

თანახმად, ლესბოსური მემარცხენე ჯგუფები არ იკვეთებოდნენ ფემინისტურ და ჰომოსექსუალურ მოძრაობებთან. ამის სანაცვლოდ, იმ სივრცეში თავსდებოდნენ, რომელიც არც ერთის მიერ არ იყო დაკავებული. ტერეზა დე ლორეტის თანახმად, ლესბოსელები პოლიტიკური რეპრეზენტაციის მიღმა რჩებიან. ისევე, როგორც ჰომოფობია განსაზღვრავს ჰომოსექსუალურ სურვილს, ლესბოსელებს ფემინისტურ მოძრაობაში გაბატონებული ლესბოფობიისა და ჰომოსექსუალური მოძრაობის მიზოგინიური დამოკიდებულებების გამო ,,არარსებულ'' ადგილას კეტავენ.

> ,,ახლა ეს სცენაცა და ოთახიც ლესბოსელებს უკავიათ. ჩვენ ვართ ამ სცენაზე, რადგან ჩვენ არ გვრცხვენია იმის, რაც ვართ. ჩვენ ჩაკეტილი ვართ სიჩუმეში, ჩვენ თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობთ, რადგან ფალოკრატებისა და ჰეტერო-სამართალდამცავების კანონმორჩილებაზე უარი ვთქვით. ჩვენ სუბვერსიულები ვართ. ჩვენ ვართ ლესბოსელები და ჩვენ ავირჩიეთ საკუთარი სიამოვნება. ჩვენი სიამოვნება არც ურთიერთმასტურბაციაა და არც ფსიქოსექსუალური ინფანტილიზმი, არც ქალისა და კაცის ურთერთობის კარიკატურა. ჩვენ ვართ სიამოვნებისგან შექმნილები და ნორმის მიღმა ვთავსდებით. ჩვენ ლესბოსელები ვართ და ამით ვამაყობთ''.

სწორედ ამ ფრანგმენტაციისა გადანაცვლების პროცესმა დააყენა ეჭვქვეშ ცალკეული ფემინისტი სუბიექტისა და ცალკეული ჰომოსექსუალი სუბიექტის პოსტულატი... ეს პროცესი საკმაოდ ჰგავდა 80-იანების აშშ-ს ფემინისტურ და ჰომოსექსუალურ მოძრაობებში მიმდინარე ცვლილებებს, რაც საბოლოოდ ქვიარ მოძრაობებში გადაიზარდა. ჩვენ უკვე შეგვიძლია პოლიტიკური მოქმედების ორი ძირითადი გზა დავინახოთ, რომლებიც მემარცხენე მოძრაობებიდან გაჩნდა: რევოლუცია ან ნორმალიზაცია, ანუსის გასაჯაროება, კომუნიზება, ან მისი დაკეტვა.

ანალური პოლიტიკა

თუკი შენთვის ყოველივე ეს სწორხაზოვნად და კონტრბიბლიურად ჟღერს, თუკი ჩვენი ქალგმირების ჰაგიოგრაფია ანალურ ასამბლეაში გაცვალეთ, თუკი უფრო მეტად თეორიის ვიდეო თამაში გაინტერესებთ, ვიდრე - ცივილიზაციების თეატრი, მაშინ შემიძლია, სხვაგვარადაც მოგითხროთ.

დროა, თამაშისთვის მოემზადოთ: ,,ჰომოსექსუალური სურვილი'' იარაღია, თუმცა, ის არც ხმალია, არც ტყვია, რაკეტა ან ბომბი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტრანსფორმაციის ძალა (რომ

არ ვთქვათ - დესტრუქციის) ყველა მათგანს აღემატება. გაი ჰოკენჰეიმის ტექსტი კრიტიკული იარაღია, რომელიც მეოცე საუკუნის ისტორიაში ერთ-ერთ იშვიათ, უსისხლო რევოლუციის ფარგლებში გამოიგონეს: ფემინიზმმა და სექსუალური უმცირესობების ემანსიპატორულმა მოძრაობებმა პირველი რევოლუცია ენის, ნარკოტიკების, მუსიკისა და სექსის საშუალებით წარმართეს. გეი, ლესბოსურმა და ტრანს მოძრაობამ, რომელიც მე-20 საუკუნის ისტორიული ბრძოლებისთვის დამახასიათებელ თანატოპოლიტიკურ იარაღებს გაემიჯნა (მექანიკური თოფიდან დაწყებული, ოსვენციმის გაზის კამერებისა და H ბომბით დასრულებული), პოლიტიკური დისკურსის ცენტრში სხეულის მოწყვლადობა და გადარჩენა მოათავსა. კულტურას, როგორც იდეების შექმნისა და ურთიერთგაცვლის ფორუმს, სადაც სოციალური შესაძლებლობები იზღუდება, ის ბრძოლის ცენტრად განიხილავს.

თუკი ლიბიდურ თეორიას გავიხსენებთ, რომელიც ,,ჰომოსექსუალურ სურვილში'' გვხვდება, შეიძლება, რომ ამგვარ მშვიდობიან რევოლუციას ანალური პოლიტიკა ვუწოდოთ. აქ ვგულისხმობ ქმედებისა და კრიტიკის ფორმებს, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნეში ბიოპოლიტიკური სტრატეგიების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელმაც სექსუალური დევიაციისა და მისი პათოლოგიების შექმნაში სამედიცინო-სამართლებრივი მეთოდები გამოიყენა. მათ ასევე რეაგირება მოახდინეს მე-20 საუკუნის შუაგულში გადამეტებული, თანატოპოლიტიკური ძალაუფლების ისეთ გამოვლინებებზე, როგორებიცაა ოსვენციმი, ჰიროსიმა და დეკოლონიზაციური ომები ალჟირსა და ვიეტნამში. 1968-1988 წლებში შეიქმნა ანალური პოლიტიკა, როგორც ომის (ბიო-თანატო)- პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული კოლექტიური ერთობა, რომელიც იქამდე სოციალური მმართველობის ტრადიციულ ფორმებს წარმოადგენდა. ის იყენებდა ძალაუფლებას, რომელშიც დასახიჩრება და სიკვდილი მოსახლეობის სიცოცხლის დაცვის გზებად არის წარმოდგენილი. ფაგოტების, ლესბოსელების, ქუინებისა და ტრანსების ეს მიკროპოლიტიკა ეწინააღმდეგება *ომს,* როგორც პოლიტიკის ტრადიციულ მოდელს (ბიოპოლიტიკაცა და თანატოპოლიტიკაც ომს კონტროლის საბოლოო მოდელად განიხილავს) და პოლიტიკის ახალ მოდელს გვთავაზობს. ესაა პოლიტიკა, როგორც კავშირი, აღნიშვნა/დღესასწაული, კომუნიკაცია, თვითექსპერიმენტირება და სიამოვნება.

ჩვენ, შესაძლოა, ვთქვათ, რომ ანალური პოლიტიკა ბიოპოლიტიკის საწინააღმდეგო პოლიტიკაა. ეს არის სხეულის პოლიტიკა, ადამიანური სახეობებისა და მისი (რე) პროდუქციის მოდელების ხელახალი განსაზღვრა. თუმცა, სხეული აქ აღარ მიიჩნევა ღირსებისა და ნაკლის ბუნებრივ სათავსოდ, რომელიც უნდა შენარჩუნდეს ან გამოსწორდეს განათლების, დისციპლინის, სტერილიზაციის ან სიკვდილის საშუალებით. ეს სცდება იმგვარ გაგებას, რომლის მიხედვითაც სხეული ადამიანის ფემინური ან მასკულინური, რასობრივად უპირატესი, ან სტატუსით დაბალ საფეხურზე მყოფი რამაა. აქ სხეული ურთიერთობებზე დაფუძნებული,

მოწყვლადი პლატფორმაა, რომელიც ისტორიულად და სოციალურად აიგება და რომლის საზღვრები მუდმივად იცვლება.

,,ჰომოსექსუალური სურვილი'' ინსტრუქციების სახელმძღვანელოა და ის მითითებებს იძლევა, რათა ფუნქციური გახადოს სხეულზე არსებული სისტემის მოწინააღმდეგე ხვრელი, ანუსი. ის არის კონკრეტული, შეურაცხმყოფელი და უკიდურესად მნიშვნელოვანი, ძლიერ მანევრირებადი რევოლუციური მექანიზმი, რომელიც საყოველთაო გამოყენებისთვისაა შექმნილი.

როგორ უნდა მიხვდე, ისევ გაქვს თუ არა ანალური ხვრელი? ჩავთვალოთ, რომ გაქვს, მაშინ როგორ წერ ანუსით? რა შეიძლება ვისწავლოთ მისგან? როგორ უნდა გავმართოთ ანალური რევოლუცია? პასუხები მოძებნე.

ისე, იცი თუ არა ზუსტად, რა არის ანუსი? მაშინ იქნებ გქონდეს პასუხი, არის თუ არა ანუსი სექსუალური ორგანო? და თუკი ასეა, მაშ რომელი სქესისაა ის? რომელ სექსუალურ პრაქტიკებს ეკუთვნის ის? ჯერ ნუ უპასუხებ ამ შეკითხვებს. თავდაპირველად უმჯობესია, ყველა შენი ანატომიური თავდაჯერებულობა დაივიწყო და უნდობლობა გამოუცხადო ვიზუალურ და ლინგვისტურ მტკიცებულებებს.

ჩაიხედე როიალ აკადემიის ესპანური ენის ლექსიკონში, სადაც წაიკითხავ განმარტებას: ანუსი: ,,ხვრელი საჭმლის მომნელებელი მილის ბოლოში, რომლითაც დეფეკაცია ხორციელდება''. შემდეგ ეს განმარტება შეადარე სხვა ორგანოების დახასიათებებს. პენისი: ,,კაცის და ზოგიერთი ცხოველის ორგანო, რომელიც შარდის გამოსაყოფად და სქესობრივი აქტის მიზნით გამოიყენება''. ვაგინა: ,,მემბრანული არხი, რომელიც ძუძუმწოვარ მდედრებში ვულვიდან საშვილოსნომდე იშლება''. ვულვა: ,,ნაწილები, რომლებიც გარს ერტყმის და შეადგენს ვაგინის გარე ნაწილს.'' საშვილოსნო: ,,მრგვალი ღრუ ორგანო, რომელიც ქალის და მდედრი ძუძუმწოვრების მენჯის ძვლოვან სარტყელშია მოთავსებული, საიდანაც მენსტრუალური სისხლდენა იწყება და სადაც ვითარდება ჩანასახი დაბადების წუთამდე''. პირველი დროებითი შეჯამება: ზოგიერთი ორგანო ბიოპოლიტიკური სტატუსის პრივილეგიით სარგებლობს. პენისი ერთადერთი ორგანოა, რომელიც სექსუალურ ორგანოდ განიხილება, მაშინ, როდესაც ანუსისა და ვაგინის როლები გამომყოფ და გესტაციურ ორგანოების როლებამდე არის შეზღუდული. მაშინ როგორღა განვმარტოთ ეროტიკული ანალური პრაქტიკები? შეიძლება, რომ პენისი, რომელიც ვერ ახერხებს სექსუალურ ინტერკურსს, ამ განმარტების თანახმად, საერთოდ აღარ მიიჩნეოდეს პენისად? ანუსი, რომელიც სექსუალურ ინტერკურსს ახორციელებს, უნდა მიიჩნეოდეს პენისად, მემბრანად ან ღრუ შინაგან ორგანოდ? მოდი, დროებით შევწყვიტოთ ამ შეკითხვების დასმა. უნებლიე ეჭვი, რომელიც ჩნდება: ენის

სამეფო აკადემიას ანალური კასტრაციის რეჟიმთან სძინავს. ჰომოსექსუალთა რევოლუციური ქმედების ფრონტის'' აქტივისტების ამოცანა ანალური ენის გამოგონება გახდა.

ანალური ცოდნა

,,ჰომოსექსუალური სურვილი'', როგორც რაღაცის მოლოდინი, ისე - პროექტი, იმ ცოდნის პირველი მაგალითია, რომელსაც დღეს *ქვიარ თეორიას* ვუწოდებთ. აშშ-ში 80-იანების ბოლოს ფაგოტების, ლესბოსელების, თეორეტიკოსებისა და აქტივისტების ჯგუფების მიერ შექმნილი ქვიარ თეორია, ჰოკენჰეიმის თანახმად, შეიძლება, განვმარტოთ, როგორც სექსისტური და ჰეტეროცენტრისტული ფონდების კრიტიკა, რომლებიც მოდერნულობის დისკურსს ავრცელებენ. ამ ამოცანისთვის ორი ძირითადი ელემენტი არის უმნიშვნელოვანესი: პირველი, ცოდნის სხვა პრაქტიკებისგან განსხვავებით, ქვიარ თეორია პირდაპირ აქტივიზმიდან ამოდის. ეს არის ,,სოციალურად კონსტრუირებული ცოდნა'' (დონა ჰარავეის თანახმად), რომელიც სექსუალურ-პოლიტიკური უმცირესობების მიერ უკანასკნელ საუკუნეში ნორმალიზაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის სტრატეგიებიდან წარმოიქმნება. ქვიარ თეორიის საწყის ტექსტებში ბევრი ისეთი მითითებაა, რომელსაც საერთო აქვს გაი ჰოკენჰეიმთან და ფრონტთან: შეურაცხყოფის მიყენება სიტყვებით აქ (ქვიარი, ჰომოსექსუალი, ფაგოტი, დაიკი) განიხილება, როგორც ცოდნის წარმოთქმისა და შექმნის ღერძი, ქალის/კაცის, ჰეტერო/ჰომოსექსუალის ტრადიციული როლების გადანაცვლება, ჩაგვრის შესახებ კომპლექსური თეორიის შემუშავება, რომელიც ისეთ კატეგორიებს ითვალისწინებს, როგორიცაა რასა, კლასი, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები… ამ თვალსაზრისით, ქვიარ თეორია მხოლოდ სექსუალური ჩაგვრის შესახებ მეცნიერება არ არის, არამედ ის თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში დაქვემდებარებული მდგომარეობის წარმოების რადიკალური კრიტიკაა.

მეორეც, ის, რაც ქვიარ თეორიას კრიტიკული პერსპექტივიდან განსაზღვრავს და რაც ჰოკენჰეიმის ნააზრევს ყველაზე აშკარა პრეცედენტად აქცევს, არის (როგორც მაიკლ მუნმა აღნიშნა) იმ ცნებების მითვისება და გამოყენება, რომლებიც პოსტსტრუქტურალისტური ფილოსოფიის წიაღში შეიქმნა. ეს მიმდინარეობს თეორიაში/პრაქტიკაში უკუკავშირის მიღებით, რომელშიც რთული იქნება მიზეზის შედეგისგან გარჩევა. ჰოკენჰეიმთან, მაგალითად, ისეთ ტექსტებს აღმოვაჩენთ, როგორსაც დღეს ჩვენ ქვიარს ვუწოდებთ: ლიბიდური ეკონომიის რედუქციის კრიტიკიდან *ანტიოიდიპოსში* ფსიქოოჯახურ მექანიზმებამდე. მაგრამ ასევე ,,ინტერპელაციის'' ,,მოთხოვნის'' ცნებას, როგორც ალთუსერი აყალიბებს წიგნში ,,იდეოლოგია და იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატი'', ან მარკუსის თეორია ,,რეპრესიული დესუბლიმაცია''. თუმცა, ეს არ არის ქვიარ თეორიასა და პოსტსტრუქტურალიზმს შორის ცალმხრივი კავშირი.

პოსტსტრუქტურალისტური ფილოსოფია ტრადიციული დისციპლინების მოდულაციაა (ფილოსოფია, ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ისტორია), რომელიც განსხვავების გამოხატვის, ჩაგვრის ანალიზისა და ნორმასთან წინააღმდეგობის მეშვეობით ხორციელდება. ის 60-იანების ბოლოს მიკროპოლიტიკურმა მოძრაობებმა დანერგეს. ორივე ელემენტი პირველად ჩნდება ,,ჰომოსექსუალთა რევოლუციური ქმედების ფრონტის'' ტექსტებში, გაი ჰოკენჰეიმთან, რენე შერერთან, ფრანსუა დ'იუბონისა და მონიკ ვიტიგთან, ასევე ჟურნალ Recherches სპეციალურ გამოშვებაში ,,სამი მილიონი პერვერტი'', რედაქტორი ,,ჰომოსექსუალთა რევოლუციური ქმედების ფრონტი''.

ჩვენ დავინახეთ, როგორ დაიწყო ცოდნის შექმნა საფრანგეთში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში დეკოლონიზაციის პოლიტიკის ზეგავლენით, ასევე მუშების, სტუდენტების, ფემინისტებისა და ჰომოსექსუალთა მოძრაობების დისკურსების წიაღში, რომელიც მარქსიზმიდან, ეგზისტენციალიზმიდან, ფსიქოანალიზიდან და სტრუქტურალისტური ფილოსოფიიდან იღებს სათავეს. თუმცა, შეცდომა იქნება, თუკი ვიტყვით, რომ ჯერ არსებობდა პოსტსტრუქტურალისტური ფილოსოფია და მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ფაგოტებმა, დაიკებმა და ტრანსმა მწერლებმა საკითხები გადაიაზრეს, ის გაქვიარდა. პოსტსტრუქტურალისტური თეორია იმ ანთროპოლოგიური, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური კატეგორიების სექსუალურ-პოლიტიკური კრიტიკული კვლევის შედეგად შეიქმნა, რომლებიც 50-იანების კონცეპტუალურ ეკოლოგიაში დომინირებდა. დერიდა, დელიოზი, გვატარი და ფუკო იმდენადვე იყვნენ ფემინისტური და ჰომოსექსუალური მოძრაობების მემკვიდრეები, რამდენადაც ეს მოძრაობები იყვნენ ე.წ. პოსტსტრუქტურალისტური ფილოსოფიისა.

პარიზის ქუჩებში რევოლუციური ტალღის ამოხეთქვასთან ერთად განათლების სისტემა და ცოდნის წარმოებისა და გადაცემის ფორმები მკვეთრ რყევებს განიცდიდა. 1968 წლის მიწურულს ფუკომ, რომელიც სულ ცოტა ხნის დაბრუნებული იყო ტუნისიდან, სადაც სტუდენტები ჯერ კიდევ მარტში აჯანყდნენ, პარიზის VIII უნივერსიტეტში ფილოსოფიის დეპარტამენტის მართვა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ გენერალი დე გოლის მთავრობის მინისტრს, ედგარ ფორს, სტუდენტების რევოლუციის პარიზის ცენტრისგან დაშორება და მისი პერიფერიულ უბნებში გადატანა სურდა, შედეგად ვინსენი აკრძალული სტუდენტური ცოდნის წარმოების ცენტრად გადაიქცა. ეს იყო ცოდნა, რომელიც პირდაპირ იყო ჩართული საფრანგეთის უნივერსიტეტის განათლების სისტემის ქსელებში. ფუკოს გარშემო შეიკრიბნენ ჟილ დელიოზი და ფელიქს გვატარი, როგორც მაოისტური მემარცხენე ფრთის ნაწილი. მაგრამ ასევე წარმოდგენილი იყო ალთუსის მემარცხენე ახალგაზრდათა საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელთა შორის იყვნენ ჟან-ფრანსუა ლიოტარი, ჟაკ რანსერი და ალან ბადიუ.

ამ პროცესებში შემოთავაზებული პოლიტიკური მოქმედების გზები განსხვავდებოდა, მაგალითად, თავის დროზე სარტრის იდეებისაგან. მაშინ, როდესაც სარტრი ,,სამი ერთში'' ინტელექტუალად გვევლინებოდა, რომელიც მზად იყო, ყველა პრინციპი დაეცვა (მუშათა მოძრაობა, იუდაიზმი, ჟენეს ექსცენტრულობა), ფუკო იმგვარ ინტელექტუალად წარმოგვიდგა, რომელიც, ერთდროულად მოკრძალებულიცაა და იმ მოძრაობებშიც ერთვება, რომლებსაც თავად იცავს. თუმცა, ფუკოს თანახმად, ჩართულობა მიუკერძოებელი უნდა იყოს და არ უნდა გამოხატავდეს პირად გრძნობებს. მიუხედავად იმისა, რომ 70-იანებში სწორედ ფუკომ განავითარა ყველაზე რადიკალური ჰიპოთეზა სექსუალობის ისტორიულ და პოლიტიკურ კონსტრუირებაზე, ის არასოდეს გამოხატავდა ღია მხარდაჭერას წინააღმდეგობრივი სექსუალურ-პოლიტიკური სეგმენტის მიმართ. ის არასოდეს საუბრობდა თავის ,,ჰომოსექსუალობაზე'' პირველ პირში (აშშ-ში მიცემული ერთი მოკლე ინტერვიუს გარდა). ფუკო ისე მოქმედებდა, თითქოს უკანა პლანზე მდგომი გამაძლიერებელი იყო იმ ძალთა ველისა, რომელსაც ის სრულად არასდროს მიაკუთვნებდა თავს. შესაძლოა, სექსუალობის შესახებ სიმართლის აღიარების მაპროვოცირებელი მექანიზმების გარდა, რომლებსაც, ფუკოს თქმით, ის წარმატებით უმკლავდებოდა, ფრანგულ საუნივერსიტეტო ინსტიტუციებში ასევე არსებობდა დუმილის გამომწვევი მექანიზმებიც, რომლებიც საკუთარი თავისა და საზოგადოების შესახებ კრიტიკული ცოდნის ფლობის შედეგად შეუძლებელს ხდიდა, არტიკულირებული ყოფილიყო აღიარების ჰომოსექსუალი სუბიექტის პოზიცია. რა მნიშვნელობა ექნებოდა იმას, თუკი 70-იანების შუაგულში, ვენსენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი საჯაროდ აღიარებდა საკუთარ ,,ჰომოსექსუალობას'', ან სადომაზოხისტურ პრაქტიკებში მონაწილეობას დაადასტურებდა? როგორ მიიღებდა და წაიკითხავდა საზოგადოება ამ საჯარო აღიარების შემდეგ ,,სექსუალობის ისტორიას'', ან ,,არანორმალურს"?

1973 წელს დელიოზმა და გვატარმა გამოაქვეყნეს ნაშრომი ,,ანტიოიდიპოსი: კაპიტალიზმი და შიზოფრენია'', რომელმაც ახალი მიმართულება მისცა ფილოსოფიურ პრაქტიკასა და კულტურულ კრიტიციზმს. გზავნილი საკმაოდ ნათელი იყო: ფსიქოანალიზის ოპერატიულ მითებს ისე უნდა შევხედოთ, რომ თითქოს ისინი პოლიტიკური მეტაფორები არიან. არაცნობიერის სურვილის მექანიზმი სოციალური მექანიზმივით მუშაობს, ანუ, ისე, როგორც წარმოების პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა. კონტროლისა და რეპრესიის ყველა მექანიზმს შორის ოჯახი (დედა-მამა-შვილის სამკუთხედი) დესპოტური პირამიდის თავში დგას, რომელშიც კაპიტალისტური მექანიზმების სხვა ჩაკეტილი ნაკადებიც არის ჩართული. ძირითადი ლოზუნგი რევოლუციურია; განწყობა - მხიარული და კოლექტიური. დელიოზმა და გვატარმა ეს ამგვარად ახსნეს:

> ,,ჩვენ იმ ადამიანებისთვის არ ვწერთ, რომლებიც ფიქრობენ, რომ ფსიქოანალიზი არ ცდება, სწორი გზით მიდის და ქვეცნობიერს ობიექტურად აფასებს. ჩვენ ვწერთ მათთვის, ვინც ფიქრობს, რომ ფსიქოანალიზი საკმაოდ მოსაწყენი და მომაბეზრებელია, რადგანაც ის მუდმივად ბუტბუტებს ოიდიპოსზე, კასტრაციაზე, სიკვდილის ინსტინქტსა და სხვა რამეებზე. ჩვენ ვწერთ არაცნობიერზე, რომელიც პროტესტს გამოთქვამს. ჩვენ ვეძებთ მოკავშირეებს. ჩვენ გვჭირდება მოკავშირეები და ვფიქრობთ, რომ ისინი უკვე აქ არიან, რომ ისინი წინ წავიდნენ ჩვენ გარეშე, რომ მრავალი ადამიანია გარშემო, რომელმაც უკვე საკმარისად ბევრი გამოიარა და დაიღალა, რომელიც მსგავსად ფიქრობს, გრძნობს და მუშაობს: ეს არ არის მოდას აყოლა. ეს უფრო ღრმა პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სფეროდან პროექტების ერთმანეთთან შეკავშირებას.

და იარსებებენ მოკავშირეები: ,,ჰომოსექსუალური სურვილის'' ავტორი ჰოკენჰეიმი არის ,,ანტიოიდიპოსის'' საკითხავი ფიგურა, ისევე, როგორც დელიოზი და გვატარი - ფუკოსი, და ინსპირირებულია პარიზის სტუდენტების და სექსუალური ამბოხებისაგან. ,,ანტიოიდიპოსი'' ამ ურთიერთგაცვლიდან წარმოიშობა, იმ ახალი ენის ძიების პროცესში იბადება, რომელსაც შეუძლია, ახალი მნიშვნელობა მიანიჭოს ძალაუფლებას, სურვილსა და დაქვემდებარებულობას შორის კავშირებს იმ სივრცეში, რომელსაც გვატარმა ,,მსოფლიო ინტეგრირებული კაპიტალიზმი'' უწოდა.

იმავე ნაირად ,,ჰომოსექსუალური სურვილი'' არ იყენებს ,,ანტიოიდიპოსის'' სურვილი-წარმოების თეორიებს, არამედ აფართოებს მათ და კაპიტალიზმის კრიტიკაში რთავს, რომელიც სექსუალობას წარმოების ძირითად მამოძრავებელ ძალად განიხილავს. აქ დელიოზისა და გვატარის ზეგავლენა ისევე დიდია, როგორც ფუკოს, შერერისა და ფრანსუა დ'იუბონის.

70-იანებში ვენსენი იმ სივრცედ იქცა, სადაც ინსტიტუციონალური ნორმალიზების წინააღმდეგ მრავალი იდეა იღებდა სთავეს. 1971 წელს ფუკომ ჟან-მარი დომენაკთან (ჟურნალ "ესპრიტის" რედაქტორი) და ისტორიკოს პიერ ვიდალ-ნაკესთან ერთად ჩამოაყალიბა საინფორმაციო ჯგუფი მსჯავრდებულებზე (GIP). ამ ჯგუფის მიზანი იყო საფრანგეთის ციხის სისტემაში შეღწევა და ,,გარე'' სივრცესთან კომუნიკაციის გზების გახსნა, რაც გამოააშკარავებდა, როგორ იყო დამალული ციხის სისტემაში ძალაუფლებისა და დაქვემდაბარების აპარატი. ციხეებში შეღწევა იგივე იყო, რაც სოციალური სხეულის ანუსის გახსნა. ერთ-ერთ პირველ აქტივობად საფრანგეთის სხვადასხვა პენიტენციალურ დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გამოკითხვა დაიგეგმა, რაც საშუალებას მისცემდა მათ, შეექმნათ ცოდნა ციხის სისტემისა და დაქვემდებარების ტექნიკების შესახებ. ეს ცოდნა იყო ის, რაც ციხის კედლებში შეაღწევდა და ძალაუფლების არსებულ მექანიზმებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა.

იმავე პერიოდში გამოჩნდა CERFI-ის ორგანიზაცია, ქსელი, რომელშიც სხვადასხვა მემარცხენე ჯგუფთან დაკავშირებული 75-მდე დამოუკიდებელი მკვლევარი ერთიანდებოდა (მათ შორის იყვნენ დელიოზი, გვატარი, ანე ქვერინი და ფუკო). ქსელი ცოდნის კოლექტივიზაციის იმ მეთოდებს ეძებდა, (რომელიც 1968 წლის მაისში აღმოცენდა), რომლითაც ურბანული ტრანსფორმაციის, სახელოვნებო წარმოების, ფსიქიატრიული მკურნალობის, განათლებისა და ეკონომიკის სფეროების გადააზრებას შეძლებდა: ,,შეხვედრების დროს დაგეგმილ კვლევაზე საუბრისას ყურადღება ექცეოდა აგრეთვე თითოეული მკვლევარის სუბიექტურ ჩართულობას, ლიბიდოსა და სურვილებს.'' თავი დააღწიეს რა აკადემიურ სტილსა და პროფესიულ მონოგრაფებს, მათ შექმნეს ჟურნალი Recherches. ამ გამოცემის მიზანი იყო ,,არტიკულირების კოლექტიური ასამბლეების პრაქტიკაში გამოყენება.''

დელიოზისა და გვატარის ბიოგრაფები იმ ზეგავლენაზე გვაუწყებენ, რომელიც შეხვედრებზე ფრონტის ზოგიერთ სხვა წევრთან ერთად ჰოკენჰეიმის გამოჩენამ იქონია (მათ შორის, რენე შერერი და ფაგოტების, ქვინებისა და დაიკების ჯგუფები). მას ხელში ეკავა ,,ანტიოიდიპოსი'' და წამოიძახა, რომ იპოვა თეორია, რომლითაც ის ჰეტეროსექსუალურ რეჟიმს გააკრიტიკებდა. ჰოკენჰეიმმა, რომელიც ის-ის იყო, დაასრულებდა ,,ჰომოსექსუალური სურვილის'' წერას, ქსელის წევრებს Recherches-ის სპეციალური ნორმის გამოშვება შესთავაზა, რომელიც ჰომოსექსუალობის საკითხს მიეძღვნებოდა. შედეგი იყო ,,სამი მილიონი პერვერტი: ჰომოსექსუალობის დიდი ენციკლოპედია''. ეს გამოშვება (რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, განათლების ჰეტეროსექსუალურ სისტემას, ,,არაბებთან'' სექსუალურ ურთიერთობებსა და პედოფილიას ეხებოდა), ჟურნალის გამოცემის ისტორიაში ყველაზე ცნობილი და პროვოკაციული აღმოჩნდა. მან ხელი შეუწყო მისი რედაქტორის სამართლებრივ დევნას (ოფიციალურად ფელის გვატარი, რომლის ოფისს ლა ბორდის კლინიკასა და სახლში ეძებდნენ). ამას მოჰყვა ჟურნალის კონფისკაცია ,,საზოგადოების შეურაცხყოფის'' ბრალდებით. განაჩენის თანახმად, მთლიანი ნაბეჭდი მასალა უნდა განადგურებულიყო, რადგანაც ჟურნალს ბრალი ედებოდა ,,სექსუალური უღირსობისა და პერვერსიის დეტალურ აღწერაში'' და ,,პერვერტთა მცირე ჯგუფის სექსუალური სურვილების გამომზეურებაში''.

სწორედ ამ კონტექსტში გაი ჰოკენჰეიმის დისკურსმა ხელი შეუწყო მეცნიერული და პოლიტიკური არტიკულირების სუბიექტის რადიკალურ ანაცვლებას. პირველად ისტორიაში ჰომოსექსუალური ანუსი საუბრობს და საკუთარი თავის შესახებ ქმნის ცოდნას. ეს ცოდნა არც დანაშაულის გრძნობიდან მოდის და არც სირცხვილიდან. ის არც ბოდიშს მოხდაა, ან საკუთარი თავის ლეგიტიმაცია. ეს ცოდნა არ არის პათოლოგიის ან ნაკლოვანების დახასიათება და აღწერა. ამის სანაცვლოდ ის წარმოგვიდგება, როგორც პოლიტიკური კრიტიკისა და სოციალური ტრანსფორმაციის ფორმა. უნივერსალურ სარტრს, რომელიც ყველა პოლიტიკურ

პრინციპზე საუბრობს ისე, თითქოს თავად იყოს მისი ნაწილი, და უპიროვნო ფუკოს შორის, რომელიც მის მიერ წამოწყებულ ბრძოლებში საკუთარი პოზიციის არტიკულირებაზე უარს ამბობს, გაჩნდა ახალი რევოლუციური, ადგილობრივი და ანალური გზა, რაც წინამორბედი იყო იმისა, რასაც შემდგომში ქვიარ პოლიტიკა ეწოდა. ჰოკენჰეიმი ამის ფუძემდებელი იყო.

50 წლის ასაკში გაი ჰოკენჰეიმი ახალგაზრდულ კომუნისტურ ჯგუფებს (,,ახალგაზრდა კომუნისტი რევოლუციონერები'', ,,ტროცკისტთა ჯგუფი'') შეუერთდა. მალევე მიხვდა, რომ მისი ,,ჰომოსექსუალური ორიენტაცია'' პარტიის მებრძოლთა რიგებში მიღებისთვის ბარიერს წარმოადგენდა. მან 1965 წელს ჯგუფები მიატოვა, მაგრამ მისი დარჩენილი ცხოვრება ის აიძულებდა მებრძოლებს, ეღიარებინათ მათი ,,ჰეტეროცენტრული მითოლოგია''. ის იყო ერთ-ერთი იმ პირველ სტუდენტთა აჯანყებებში, რომლებიც 1968 წლის მაისში, ლუსაკის ქუჩაზე, ლათინურ კვარტალში იმართებოდა. 1971 წელს სხვა ფაგოტებთან და ლესბოსელებთან ერთად მან დაიწყო PCF-ის გაზეთის, Tout-ის ხელმძღვანელობა და ის ახალი გარეკანით გამოაქვეყნა, რომელზეც მთავარი მოთხოვნა ქალებისა და სექსუალური უმცირესობების პოლიტიკური გათავისუფლება იყო. ,,ჩვენ ისევე გვჭირდება ჩვენი ფემინურობა, როგორც ქალები უარყოფენ მას. ამავდროულად კი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსგავსი როლები უმნიშვნელოა.'' გაზეთის მე-12 ნომერმა დიდი კრიტიკა დაიმსახურა და ის ,,უხამსობასა და მორალურობაზე თავდასხმაში'' დაადანაშაულეს. პოლიციამ მისი კონფისკაცია მოახდინა და ის წიგნის მაღაზიებიდან გამოითხოვეს.

გაიმ პრესტიჟულ, თეთრკანიანთა, ჰეტეროცენტრისტულ სკოლაში მიიღო განათლება ფილოსოფიის მიმართულებით. მოგვიანებით იგი მუშაობდა ჟურნალისტად გაზეთში Liberation, რომელიც 70-იანებში ჯერ კიდევ წარმოადგენდა სამხედრო მემარცხენე დებატების გასამართ სივრცეს. 1972 წლის 10 იანვარს ჟურნალ Le Nouvel Observateur-სთვის მიცემულ ინტერვიუში ის ღიად აღიარებდა, რომ ფაგოტი იყო. გაის დედამაც კი ღია წერილით უპასუხა შვილთან ჩაწერილ ინტერვიუს. ამდენად, იგი პირველი ფრანგი ინტელექტუალი გახდა, რომელმაც შეძლო, საჯაროდ ესაუბრა საკუთარ პოლიტიკურ იდენტობაზე და ეთქვა, რომ ,,ფაგოტი'' იყო. გაი ჰოკენჰეიმი სექსუალობის პირველი აქტივისტი აღმოჩნდა, რომელმაც იმედი დაამყარა კომუნიკაციების მედიაზე, რომელიც ხილვადობის შექმნისა და სოციალური ტრანსფორმაციისთვის იქნებოდა საჭირო. ბრძოლა კომუნიკაციების მედიის სუბვერსიული გამოყენებით იწყება, რომელიც გაიგება, როგორც კრიტიკული და სამსჯელო რამ (და არა ინფორმატიული) და როგორც საჯარო სივრცის შექმნის ვექტორი.

აქ შეიძლება გამოვყოთ ორი ტიპის მწერალი: ერთი, ვინც იტყუება, რათა სიმართლე თქვას და ის, ვინც სიმართლეს ამბობს, რათა კოლექტიური ტყუილი გაამჟღავნოს. გაი უკანასკნელ მათგანს მიეკუთვნება. 1972 წელს ჰომოსექსუალად იდენტიფიცირება არც პოზა იყო, არც მოდა

და არც გამბედავი ჟესტი. ეს ომის გამოცხადებას და საკუთარი, მოწყვლადი თავის გამოაშკარავებას, გაშიშვლებას ჰგავდა დომინანტური ენისა და მზერის წინაშე. ეს ნიშნავდა, რომ შენ ამბობდი: აი, მეც აქ ვარ; მე, უბრალოდ, ანუსი ვარ.

ანალური მეთოდი

გაი ჰოკენჰაიმმა, ფრანსუა დ'იუბონმა, რენე შერერმა, მონიკ ვიტიგმა, რევოლუციური ფრონტის აქტივისტებმა და წითელმა ლესბოსელებმა ანალური ცოდნის ის ფორმა (ფაგოტები-დაიკი/ლესბოსელი-ტრანსები) გამოიგონეს, რომელმაც სიტყვების ტრადიციული მეცნიერული არტიკულირება ჩააცვლა. მან ავთენტური ეპისტემოლოგიური წყვეტა წარმოქმნა. ფელიქს გვატარი ,,სამი მილიონი პერვერტის'' შესავალში ამ მეცნიერულ მიწისძვრას შემდეგნაირად აღწერს:

> ,,დღეს საფრანგეთში ამ ბარათების ობიექტებზე, ჰომოსექსუალებზე, ისე ვერ ვისაუბრებთ, თუკი ხელახლა არ დავაყენებთ ეჭვქვეშ სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდებს. კვლევის მეთოდებში ობიექტურობაზე ხაზგასმით ნათელი ხდება, რომ ყველა ზომა მიღებულია იმისთვის, რომ მკვლევარსა და კვლევის ობიექტს შორის საზღვარი რაც შეიძლება უფრო მეტად გაფართოვდეს და ისინი ერთმანეთისაგან დისტანცირდნენ. ამის საპირისპიროდ, ინსტიტუციონალური ანალიზი (აქ ის დაიმოწმებს შიზოპოლიტიკურ მეთოდს, რომელიც მან ლა ბორდის კლინიკაში შეიმუშავა) მოიცავს მეცნიერული გამოთქმის დეცენტრალიზებას. ამ მიზნის მისაღწევად საკმარისი არ არის, ,,ხმა მისცე'' სუბიექტებს. [...] ამის სანაცვლოდ, საჭიროა, ამ გამოთქმის/არტიკულირების განხორციელებისთვის სრული, მყისიერი პირობები შეიქმნას [...]. ჩვენ უნდა გადავლახოთ სამი სახის ეპისტემოლოგიური ცენზურა: ა) სოციალური კვლევების ფსევდოობიექტურობა; [...] ბ) ის *ფსიქოანალიტიკური ცრურწმენები*, რომლებიც წინასწარ ახდენს ჰომოსექსუალობის ,,გაგებას'' ფსიქოლოგიური, ადგილთან დაკავშირებული და ეკონომიკური კატეგორიების ჭრილში (,,მიჯაჭვულობა'' პრეგენიტალიურ, პრეოიდიპალურ, პრესიმბოლურ საფეხურებზე, რასაც მოსდევს მე-19 საუკუნის პათოლოგიური ფსიქოლოგია) [...] გ) ასევე უნდა მოხდეს *ტრადიციული სამხედრო ჰომოსექსუალობის* მოდელების ჩანაცვლება''.

ეს არ შეეხება უდანაშაულო და ჩაგრული უმცირესობების მსხვერპლების, ოიდიპალური, დამნაშავე, სასირცხვო და საწყალი ჰომოსექსუალობის მოთხოვნების დაცვას.

> ,,ჰომოსექსუალები ყველა ჩვენგანის სანაცვლოდ საუბრობენ, მდუმარე უმრავლესობის სანაცვლოდ და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ სურვილი-წარმოების ყველა ფორმას''.

ეს სხვა ტიპის ცოდნაა, მეცნიერული არტიკულირების მორიგი სუბიექტია, მაგრამ ეს ასევე სხვა ეპისტემოლოგიური ველის სივრცის გახსნაა, იმ ტერიტორიის გადაწყობა, რომელიც მანამ უხილავი იყო. გვატარი აღნიშნავს:

> ,,1968 წლის მაისმა გვასწავლა, რომ ჩვენ უნდა წაგვეკითხა კედლის წარწერები და მხოლოდ მას შემდეგ დავიწყეთ ციხეებში, თავშესაფრებსა და უკვე საჯარო აბაზანებში გრაფიტის მნიშვნელობების ამოკითხვა. ,,ახალი მეცნიერული სულის'' აღდგენა შესაძლებელია!''

მთავარი მიზანი აღარ არის ,,პატიმართა დაცვა'' ან ,,გეტოს მაცხოვრებლებისთვის ხმის მიცემა'', მათ ნაცვლად საუბარი ან ,,არტიკულირებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა'', რომლითაც ,,პატიმრები'', ,,სამეზობლო ასოციაციები'' ან ,,ჰომოსექსუალები'' საკუთარი თავის შესახებ ცოდნას შექმნიან, ხელში აიღებენ ძალაუფლების ტექნოლოგიებს, რომელიც მათი დაქვემდებარების იარაღს წარმოადგენს.

,,ჰომოსექსუალთა რევოლუციური ქმედების ფრონტის'' აქტივისტები ჰომოსექსუალობის შესახებ ცოდნის შექმნის იმგვარ ფორმას ეძებდნენ, რომელსაც თავი უნდა დაეღწია მეცნიერული ცოდნისა და ფსიქოანალიტიკური ინტერპრეტაციის მახეებისთვის. თუმცა, ისინი ასევე აღმსარებლური და მსხვერპლის, დანაშაულისა და პატივისცემის მომთხოვნი დისკურსების აღმოჩენასაც ცდილობდნენ. ერთი მხრივ, მათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ობიექტურობის კრიტერიუმი, რომელიც ადამიანის შესახებ მეცნიერებებში, როგორც კონტროლის აპარატში, დომინირებდა, რომელმაც ჰომოსექსუალი/ჰეტეროსექსუალის კატეგორიები შექმნა. მაგრამ ამავდროულად, მათ ის ფსიქოანალიტიკური მეთოდი და მითები ჩაანაცვლეს, რომლებმაც ჰერმანევტიკული ბაზისი შექმნეს და ნათელი მოჰფინეს იმ რასობრივ და სექსუალურ მეტაფორებს, რომელსაც ის ეფუძნებოდა.

ანალიტიკოსის ტახტი საწარმომ, დიალოგური ასამბლეა საიდუმლო ოთახმა (,,ბექრუმი''), ეპიდემოლოგიური სწავლება მეცნიერული მეტაფორების დეკონსტრუქციამ, ინდივიდუალური მკურნალობა კოლექტიურმა ექსპერიმენტირებამ და ლობოტომია პოლიტიკურმა გენეალოგიამ ჩაანაცვლა. ამდენად, პირველად ისტორიაში, ე.წ. ,,მეცნიერული ობიექტურობის'' წყვეტის შედეგად ანალური მეცნიერება გაჩნდა, რომელიც სოციალური მეცნიერებების ცენტრალური ევროპისა და კოლონიური ტრადიციისათვის იყო დამახასიათებელი და რამაც ხელი შეუწყო

,,ჰომოსექსუალის'', როგორც გადაგვარებულის, პოლიტიკური სახის შექმნას. ეს კატეგორია სტრატეგიულად განთავსებულია არანორმალურების კარტოგრაფიაში ზღვარზე მყოფი ისეთი კატეგორიების გვერდით, როგორებიც არიან მოძალადე ქალი, სექს მუშაკი, კრიმინალი, შეშლილი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. წამოძახილი ,,ამის კარგიც. იმედია, ტრაკში მოგტყნავენ!'' კარგად აჯამებს ამ მეთოდოლოგიურ სტრატეგიას.

ეს ცოდნა, რომელიც უპირობოდ კოლექტიური და პოლიტიკურია, არ შეიძლება, პირველ პირში არტიკულირდეს. და არა იმიტომ, რომ ეს სასამართლო ჩვენება ან ავტობიოგრაფიაა, არამედ იმიტომ, რომ ამ მომენტამდე ჰომოსექსუალობა ვერ არტიკულირდებოდა, როგორც ცოდნა საკუთარ თავზე ან რეფლექსიური სინთეზი. ,,ისაუბრე შენი ანუსიდან'' ნიშნავს იმას, იკითხო, რა არის ძალაუფლების ის სახეები (ლიბიდური, ეკონომიკური, ლინგვისტური…), რომლებიც გქმნიან და გაყალიბებენ. ისაუბრე იმ პიზიციიდან და ადგილიდან, საიდანაც ვერასოდეს იფიქრებდი, რომ სიტყვა შესაბამისად წარმოითქმებოდა. შენ იმ პაროდიაში უნდა ითამაშო, რომელშიც ,,მე'' საკუთარ თავს ფაგოტად, დაიკად ან ქუინად მოიხსენიებს, რათა დაამტკიცოს, რამდენად მცდარი და ზიანის მომტანია დემოკრატიულ რეპრეზენტაციაში ტრადიციული სუბიექტის გამოხატულება. არტიკულირება, რომელიც მესამე პირის მხოლობითში არის დასმული (მეცნიერი, რომელიც ,,ჰომოსექსუალობაზე'' საუბრობს) ორი სახის არტიკულირებით იცვლება: გამოთქმა პირველი (,,მე, ჰომოსექსუალი'') და მეორე პირის მრავლობით რიცხვში (,,თქვენ ჰეტეროსექსუალები ხართ'', ,,თქვენ ხართ ისინი, ვისაც ეშინია.'')

აქ ქამინგ აუთი არ არის აღიარების ფორმა, არამედ, ჯუდიტ ბატლერის ცნება რომ გამოვიყენოთ, ის ,,პერფორმატიული ინვერსიაა'': განაცხადი ,,მე ჰომოსექსუალი ვარ'' სულაც არ გამოხატავს სუბიექტის აგენტობას, არამედ ეს შეურაცხყოფის გამომხატველი ,,კონტექსტისგან დაცლილი ციტატაა''. ,,ჰომოსექსუალი'', როგორც ონტოლოგიური ღირებულებისაგან დაცლილი სიტყვა, პოლიტიკური ბუმერანგივით მოქმედებს. განაცხადი ,,მე ჰომოსექსუალი ვარ'' არ არის სიმართლე, რომელიც ამ სუბიექტზე ითქვა. ამის სანაცვლოდ, გამოხატავს, რომ ის ამ დრომდე დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა (გა-ანალ-იზებული, სოციალურ ანუსამდე დაყვანილი). ის თითქოს საკუთარ თავის იმ ცნებებისაგან ცლის, რომლებიც მას შეადგენენ და მასზე საუბრობენ, და ის არტიკულირების ახალ კონტექსტს, ლეგიტიმაციის შესაძლო ფორმებს ქმნის.

,,ჰომოსექსუალური სურვილისა'' და ,,ჰომოსექსუალთა რევოლუციური ქმედების ფრონტის'' *ანგარიში ნორმალურობის წინააღმდეგ* სამედიცინო-სამართლებრივი დისკურსებიდან ჰომოსექსუალის ცნების ამოღებისა და მისი ,,ფსიქოპოლიტიკურ'' კატეგორიად გარდაქმნის მცდელობაა - როგორც კონტროლის და სურვილის სოციალური პროცესების რეგულაციის შედეგისა. ამ ტექსტებმა სექსუალობის ისტორიის შემქმნელი ფიგურები, ფროიდი,

ფერენზი, კინსი, მარტინ ჰოფმანი, ადლერი, ნახტი, სტეკელი - ყველანი ეჭვქვეშ დააყენა. მათი ტექსტების დეტალური ანალიზით გაი ჰოკენჰეიმი ნათელს ჰფენს ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული გათანაბრების ფარულ პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც ისტორიულად აიგებოდა ჰომოსექსუალობის კატეგორია.

ჰოკენჰეიმის თანახმად, ჰომოსექსუალობა არ არის არც ,,სექსუალური პერვერსია (კრაფტ-ებინგი), და არც ,,ლიბიდური ორიენტაცია'' (ფროიდი), ის არც ,,სექსუალური პრაქტიკაა ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის'' (კინსი). ჰომოსექსუალობა იმ პოლიტიკური რეჟიმის შედეგია, რომელსაც ჰოკენჰეიმი, დელიოზისა და გვატარის მიხედვით, ,,კაპიტალიზმს'' უწოდებს, ხოლო შემდგომში მონიკ ვიტიგი - ,,ჰეტეროსექსუალობას''. ,,კაპიტალისტური საზოგადოება იმგვარად ქმნის ჰომოსექსუალების კატეგორიას, როგორც პროლეტარებს, და მუდმივად ადგენს მის საზღვრებს: ჰომოსექსუალობა ნორმალური ცხოვრების სამრეწველო პროდუქტია''. ამ მსჯელობას მარტივი დასკვნა მოჰყვება: ჰომოფობიის გარეშე ჰომოსექსუალობა არ არსებობს. ამ თვალსაზრისით, ,,ჰომოსექსუალური სურვილი'' ჰომოსექსუალობის ფსიქიატრიის სფეროდან დახსნის პირველი მცდელობა გახდა. სწორედ იმავეს აკეთებენ დღეს ტრანსსექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი აქტივისტები ისეთი კატეგორიებით, როგორებიცაა ,,ტრანსსექსუალობა'' და ,,ინტერსექსუალობა''. ჰომოსექსუალობა ერთდროულად კიდეც არსებობს და კიდევაც არა. თან არსებობს და თან არც: მისი არსებობის პრაქტიკა ისევ და ისევ აყენებს ეჭვქვეშ თავისივე არსებობას.'' იგი პირველად მივიდა ახლოს ბიოპოლიტიკური ერთობების მეტაფიზიკური სტატუსის იდენტიფიცირებასთან: ჰომოსექსუალობა და ჰეტეროსექსუალობა (როგორც რასა და წმინდა სისხლი) არც ნამდვილია და არც მცდარი. ისინი სოციალური მექანიზმები, ისტორიული კონსტრუქტები, სომატური ფიქციები, პოლიტიკური გამოგონებები არიან, რომლებიც სხეულებისა და ცხოვრების მტკიცე ფორმებს იღებენ.

ეტიოლოგიური შეკითხვები (როგორ მოხვედი აქამდე, როგორც ჰომოსექსუალი? რა დანაშაული მიუძღვის დედაშენს ან მამაშენს?) პოლიტიკური სკეპტიციზმით არის ჩანაცვლებული: რა განაპირობებს ჰეტეროსექსუალთა ნორმალურობას? კონტროლისა და რეპრესიის რა მექანიზმები არსებობს იმისთვის, რომ ჰეტეროსექსუალობა (მისი რიტუალიზებული კორპორალური ქორეოგრაფიითა და ურთიერთობისა და ნათესაობის რიგიდული ინსტიტუციებით) ისევ აღმოჩნდება ერთადერთი ბუნებრივი სექსუალობა? უკვე მთავარი აღარ არის ,,ჰომოსექსუალური სურვილი'' ავხსნათ, არამედ დეტალურად გავაანალიზოთ დასჯისა და წახალისების, მოთვინიერების ის ტექნიკები, რომლებიც ,,ჰეტეროსექსუალურ სურვილს'' ნორმალურად, ჩვეულ მოვლენად წარმოგვიდგენს. აქ პრობლემა ანალური სექსი კი არ არის, არამედ ანალურად კასტრირებული კაცის კულტურა/ცივილიზაცია.

იდენტობის პოლიტიკა და ანალური ნორმალიზაცია

ჰოკენჰეიმი მხოლოდ ,,ანალური ცოდნისა'' და მისი პოლიტიკის ფუძემდებელი არ ყოფილა, მან ასევე საოცრად ნათლად განმარტა ის შესაძლო საფრთხეები, რომლებიც ჰომოსექსუალურ მოძრაობას საჯარო სივრცეში შეღწევისას და ჰეგემონურ სოციალურ ინსტიტუციებში ინტეგრაციის შედეგად ელოდა (ოჯახი, სკოლა, არმია, მუზეუმი, საავადმყოფო.). ჰოკეინჰეიმი ჰომოსექსუალობასა და ფაშიზმს შორის ურთიერთკავშირს შეისწავლიდა და სექსუალური რევოლუციის შესაძლო საფრთხეებზე მიუთითებდა. რევოლუციის მიზანი, შესაძლოა, ,,ჰომოსექსუალობის ნორმალიზება'' და მისი სექსუალური კმაყოფილების ფორმად გარდაქმნა ყოფილიყო, ჰეტეროსექსუალურთან გათანაბრებით. მისი აზრით, პარადოქსულია, რომ სექსუალური რევოლუციის ეს ფორმა ,,ჰომოსექსუალურ პრობლემას'' მისი გაქრობის გზით გადაჭრიდა.

სწორედ ამიტომ, რევოლუციური ფრონტის აქტივისტებმა ,,გაფართოებული ჰომოსექსუალობის'' პოლიტიკური ცნება შემოიღეს, რომლის თანახმადაც ჰომოსექსუალობა ვერ იქნება იდენტობის ერთ-ერთი სახე. მათ აღნიშნეს: სურვილის, ურთიერთობის, სიამოვნების ყველა ფორმა, რომელიც ბურჟუაზიული ჰეტეროსექსუალური ნორმის მიღმა არსებობს, ჰომოსექსუალურია. მოკლედ რომ ვთქვათ, ჰომოსექსუალური სურვილი ნორმასთან წყვეტაა. მათ სურდათ, თავი დაეღწიათ პოლიტიკური სპეციალიზაციის იმ პროცესისათვის, რომელშიც ,,კარგი გეები და ლესბოსელები'' ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველი ბიუროკრატები ხდებოდნენ. *ანგარიშში ნორმალურობის წინააღმდეგ* ისინი აღნიშნავენ: ,,ჩვენ არ ვართ სექსუალობის საკითხებში სპეციალიზებული რევოლუციონერები... ჩვენი ამოცანა მთლიანად პოლიტიკურ სფეროს შეეხება.'' რევოლუციური ფრონტის დისკურსში, კაპიტალიზმის კრიტიკისას, სექსუალობა ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხს აღარ წარმოადგენდა. აქ ჰომოსექსუალობა არ არის ის რევოლუციური ძრავი, რომელზეც ხშირად მემარცხენე ჰეტეროები საუბრობენ. ამის საპირისპიროდ, ის წინააღმდეგობისა და ძალაუფლება-ცოდნის გადააზრების სხვა მოდელებს შორის ერთ-ერთია.

ჯერ კიდევ 1972 წელს ჰოკენჰეიმმა და რევოლუციურმა ფრონტმა ანალურად კასტრირებული ჰომოსექსუალთა მოძრაობა გააკრიტიკეს. თავდაპირველად მათი კრიტიკა ნორმალიზებულ ნიშნებს მიემართებოდა, როდესაც ისინი თავისუფლებაზე საუბარში ,,ინდივიდუალური/ოჯახის/ერის'' ცნებებით მანიპულირებდნენ. ეს იყო მოთვინიერებული ჰომოსექსუალური მოძრაობა, რომელიც კონსენსუსს, განსხვავებების პატივისცემასა და ასიმილაციას ეძებდა. გეი იდენტობის (და უფრო იშვიათად - ლესბოსელთა) იდენტობის პოლიტიკა იმ ლიბერალურ ლოგიკას იზიარებდა, რომლის თანახმადაც პოლიტიკური

არსებობა და რეპრეზენტაცია მოხმარებისა და მედიახილვადობის უფლებების ქონას ნიშნავს. მათი მხრიდან მემარცხენეების კრიტიკა მიერმართებოდა საკითხს, თუ როგორ აქციეს ,,ჰომოსექსუალობის პრობლემა'' მეორეხარისხოვან საკითხად მუშათა რევოლუციების ფონზე, ხოლო სექსუალური უმცირესობებისთვის ბრძოლის ვიწრო პოლიტიკური სივრცე დატოვეს. ამავდროულად, მათ მიუთითეს, რომ სახელმწიფო პროექტებში ჰომოსექსუალთა კოლაბორაციის რისკი არსებობდა. ეს ის პროექტები იყო, რომლებიც სექსუალობის რეპრესირებას ახდენს, ,,პერვერტებს'' ,,კარგი ჰომოსექსუალებისაგან'', ,,ჯანქებს'' ,,ფხიზლებისგან'', ბუჩებს ინდივიდუალიზმის მქონე, დახვეწილი ლესბოსელებისგან, ტრანსსექსუალებს, რომელთაც საკუთარი ნამდვილი სქესის აღმოჩენა სურთ, უიმედო დისფორიკებისაგან აცალკევებს.

ამჟამად რევოლუციური ფრონტის ანტიიდენტიტარიანული პარანოია, შესაძლოა, მიმდინარე პოლიტიკური მუტაციის ნათელ დიაგნოსტირებად მივიჩნიოთ. 80-იანების ამერიკის შეერთებულ შტატებში გეი იდენტობის პოლიტიკის გაფართოების ხანა იდგა, მაგრამ ეს ასევე ის პერიოდი იყო, როდესაც ნეოლიბერალური სტრატეგიები და მათი კაპიტალისტური მოდელები იმით მართლდებოდა, რომ ისინი ტოტალიტარული კომუნიზმიდან, შემდეგ კი ისლამური ტერორიზმიდან გაღწევის დემოკრატიული გზები იყო. ამ პერიოდშივე გაჩნდა შიდსის ეპიდემია, როგორც ახალი მასობრივი კულტურული დაავადება, რომლის გარშემო (ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან დაწყებული) ჰომოფობიური და ევგენიკური რიტორიკა გაძლიერდა.

შიდსის ვირუსმა, რომელმაც თითქოს ნათელი მოჰფინა ზოგიერთ ევგენიკურ მისწრაფებას (რომელიც დასავლეთმა ნაცისტურ ექსპერიმენტში გამოიყენა), შეცვალა გარემო და თავდაცვის ზოგადი პირობები ჩამოაყალიბა. მან შექმნა და ხელი შეუწყო გადარჩენის ახალი სტრატეგიებისა და სხვა რევოლუციური მიკროპოლიტიკის განხორციელებას. რევოლუციური ძალებისკენ უკანდახევის პროცესში, 80-იანების ბოლოსა და 90-იანებში, ქვიარ მიკროპოლიტიკა (ექთ აფი, ლესბოსელი შურისმაძიებლები, რადიკალური ბრაზი, დრაგ ქინგის პრაქტიკები, ტრანსგენდერი და ინტერსექსული პოლიტიკების აღმოცენება) ანალური პოლიტიკის გადარჩენის გზა იყო, რომელიც რევოლუციურმა ფრონტმა, წითელმა დაიკებმა და გაზოლინებმა ჩამოაყალიბეს.

1984 წელს მიშელ ფუკო, ხოლო 1988 წელს კი გაი ჰოკენჰეიმი შიდსის ვირუსმა იმსხვერპლა. მის დაღუპვამდე ორი წლით ადრე, ,,ღია წერილში მათთვის, ვინც მაოიზმი კლუბ ,,როტარში'' გაცვალა'', გაიმ ის გზა გააკრიტიკა, რომლითაც რევოლუციური მოძრაობები, ხილვადობის ძიებაში, მათივე სპეკულარიზაციის პროცესებით შთაინთქმნენ. ღია ანუსის ქონა საკმარისი არ აღმოჩნდა. მნიშვნელოვანი იყო, შესაბამისი ველი შეგექმნა მისგან. როგორ უნდა აწარმოო პოლიტიკა ანუსზე უარის თქმის გარეშე? როგორ უნდა მოითხოვო რეპრეზენტაცია ანუსზე უარი თქმის გარეშე? ანუსზე უარის ართქმა ნიშნავს, არ მივცეთ იმაზე მეტი ძალაუფლებას,

ვიდრე ის ითხოვს ჩვენგან. გასული წლის შეკითხვა - როგორ მოვახდინოთ ანალური რევოლუცია - დღეს ამ შეკითხვად გადაიქცა: როგორ ავირიდოთ თავიდან ანალური მარკეტინგი? როგორ გადავურჩეთ იდენტობის პოლიტიკის ნორმალიზაციის შედეგებს? როგორ გადავრჩეთ ღია და კოლექტიური ანუსით?

არ არსებობს რამე მითითება, დღის წესრიგი ან შესაბამისი პროგრამა. თუმცა, არსებობს ორი მთავარი რეკომენდაცია, რომელიც ანალური რევოლუციის პირველივე დღეებიდან მივიღეთ:

ნუ ენდობი შენს სურვილს, როგორიც უნდა იყოს ის. ნუ ენდობი შენს იდენტობას, როგორიც უნდა იყოს ის. იდენტობა მხოლოდ პოლიტიკური მირაჟია. ის არ არის სიმართლის მღაღადებელი, ის არტეფაქტია, რომელიც კულტურულად აიგება და ის სოციალური ძალადობის, წამახალისებელი საშუალებებისა და გარიყულობის შიშის შედეგად ჩამოყალიბდება. არ არსებობს ჰომოსექსუალური ან ჰეტეროსექსუალური, ისევე, როგორც ბისექსუალური სურვილი: სურვილი ყოველთვის არის შეუწყვეტელი და მრავალხმიანი დინების უცაბედი ნაწილი. ამ კონტექსტში ჩვენ ვაანალიზებთ, რომ ჰოკენჰეიმის წიგნი ,,ჰომოსექსუალური სურვილი'', ისევე, როგორც მონიკ ვიტიგის ,,ლესბოსური სხეული'' პაროდიული თვალის ჩაკვრით მიგვანიშნებენ არსებული პოლიტიკური კონსტრუქციის მექანიზმებზე და რამე ერთობებსა ან სუბსტანციებზე არ გვიყვებიან.

ანალური რევოლუცია უხამსია. ,,სამ მილიონ პერვერტში'' რევოლუციური ფრონტის აქტივისტები ამტკიცებენ:

> ,,ეს ტექსტი არც მანიფესტია და არც თეორია. ის თავს უყრის გამიზნულად ან შემთხვევითად სასაცილო რევოლუციური პოლიტიკის ელემენტებს, რომლებშიც არეულია რასობრივი და ფაშისტური ელემენტები, ოიდიპალური სექსუალობა და სექსუალობის სხვა ელემენტების მიმართ მიდრეკილება… ჩვენ შეიძლება, ვთქვათ, რომ რეაქციული ან ფაშისტური ელემენტები, რომლებსაც რევოლუციური ელემენტები მოიცავს, პოტენციური გამცემლობაა. მაგრამ იმ მომენტიდან, რაც პოლიტიკურ ველში სურვილს, ლიბიდოსა და არაცნობიერს ვხვდებით, ყველაფერი რთულდება: რადგანაც ლიბიდური ინვერსიები, ფაშისტური და რევოლუციური, რასისტული და ანტირასისტული, ყველაფერი ერთმანეთში ირევა, გადაეცემა და იმავე ადამიანში ერთიანდება, ქმნის ახალ პირობებს, რომელიც საშუალებას იძლევა, გავაანალიზოთ სურვილის *შერეულობა* გარეგნობის , მისთიფიკაციის, ღალატის მიღმა.''

შეუძლებელია, პრეტენზია გვქონდეს პოლიტიკური სუბიექტის გაწმენდაზე და ეს ნორმალიზაციის, ჩაგვრისა და ახალი გარიყულობის რისკის შექმნის სანაცვლოდ შეიძლება, მოხდეს. რევოლუციური ფრონტის აქტივისტებმა არასასურველი პოლიტიკური სუბიექტის არსებობა დაადასტურეს. ეს სუბიექტი სხვადასხვა შეცდომისგან შედგება, რომელიც სრულებით არ არის რევოლუციური. წმინდა (სუფთა) რევოლუცია აღარ არის ანალური რევოლუცია.

ანალური ედუკასტრაცია: მცირეწლოვნება, მასტურბაცია და წერა

1974 წელს, ,,ჰომოსექსუალური სურვილის'' გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდეგ, რენე შერერმა, რომელიც ჰოკენჰეიმის მეგობარი და ინტიმური პარტნიორი იყო, გამოაქვეყნა ,,პერვერტირებული ემილი'', [ესპანელი მთარგმნელის სათაურის მიხედვით ,,პერვერტირებული პედაგოგიკა''], რომელიც ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური და საკამათო ტექსტია ფრანგულ პოსტსტრუქტურალიზმში. შერერის ტექსტებში სუბიექტი ,,ბავშვი'' დაექვემდებარა დეკონსტრუქციის იმავე პროცესს, რასაც ,,ქალისა'' და ,,ჰომოსექსუალის'' პოლიტიკური ერთობები (სიმონ დე ბოვუარისა და ჰოკენჰეიმის მიერ). აქ ბავშვი წარმოდგენილია, როგორც ბიოპოლიტიკური არტეფაქტი, რომელიც ზრდასრულის შექმნისა და ნორმალიზაციის საშუალებას იძლევა. თუკი დე ბოვუარის თვალსაზრისით, ქალად არ იბადები, შერერი უფრო რადიკალურ აზრს აყალიბებს: ,,ბავშვად არ იბადები''. რევოლუციური ფრონტის აქტივისტებისთვის, საგანმანათლებლო სისტემის აპარატი ცალკეული პოლიტიკური ოპერაციის საშუალებით იწარმოება და ეს არასრულწლოვნის სხეულის დესექსუალიზაციითა და მისი შედეგების უგულებელყოფით ხდება.

ბავშვობა არ არის პოლიტიკურამდე არსებული მდგომარეობა, ამის საპირისპიროდ, ბავშვობის ასაკში ბიოპოლიტიკური აპარატები ყველაზე დესპოტური და ჩუმი გზებით ზემოქმედებენ სუბიექტის სხეულზე. საგანმანათლებლო პროექტის პირველი მიზანია ანუსის პრივატიზაცია (წრიული კუნთის კონტროლი), სხეულის ბიოპოლიტიკური რეკონსტრუქცია, რომლის კონკრეტული ზონები სრულიად გამორიცხულია ლიბიდური ეკონომიკიდან. შემდეგი საფეხურია მასტურბაციის რეპრესირება, კითხვისა და წერის სწავლა, ,,ჰეტეროსექსუალურ მექანიზმში'' ჩართვა. მასტურბაციის რეპრესირება, რომელიც მე-17 საუკუნიდან დღემდე გრძელდება, ამოცანად ისახავს ბავშვის დაცვას იმ საფრთხისგან, რომელიც ნებისმიერ სოციალურ ურთიერთობას უსწრებს წინ, საფრთხე, რომელშიც მათი სხეულები, გრძნობები და წარმოსახვა ყველაზე ცუდი მტრები არიან, და ეს ხდება იმ მიზნით, რომ მათი ლიბიდური ენერგია პროდუქციისა და რეპროდუქციის კაპიტალისაკენ მიმართოს.

შერერი ბავშვობასა და წერას შორის არსებულ სტრუქტურულ კავშირზე მიუთითებს. ისტორიულად ბავშვობის გამოხატულება ბეჭდურ პრესასა და წიგნების კულტურას ემთხვეოდა. კითხვაზე ხელმისაწვდომობა, როგორც სუბიექტად ქცევის გზა, ორი ტიპის სხეულს შორის ავლებს ზღვარს: მცირეწლოვნები, ან სხეულები ტექსტის გარეშე და მოზარდები, რომელთაც კითხვისა და წერის შესაძლებლობა აქვთ. იქ, სადაც მასტურბირებენ, არსებობს კითხვისა და წერის სწავლების პრაქტიკა, კლასების რითმული მონიტორინგი, სხეულის დისციპლინა, დავალებების დართვა და განმეორება: ხელი, რომელიც სხეულს ეფერებოდა, ახლა იმ ინსტრუმენტს ებღაუჭება, რომლითაც სხეული თავის კვალს ტოვებს და სუბიექტად ყალიბდება. აქ ჩვენ პარადოქსული რეპრესიული აღტყინების წინაშე ვდგავართ: სწავლის პროცესი იმდენად არ ეხება მასტურბაციის აღმოფხვრას, რამდენადაც კონტროლისა და პრივატიზაციით ავტოეროტიკული სიამოვნების პრაქტიკების შექმნას, ახალი სექსუალური სუბიექტის აგებას, რომელიც იქნება ინდივიდუალიზებული და ცნობიერი. ეს სუბიექტი თავს სექსუალური იდენტობის სათავსოდ აღიქვამს და ფიქრობს, რომ საკუთარი თავისთვის საფრთხე თვითონვეა. სწორედ ასე ვსწავლობთ ჩვენი სხეულების შიშს, ასე ვივიწყებთ ანუსის არსებობას, ასე მოვითხოვთ, გვქონდეს უფლება საკუთარ იდენტობაზე.

საგანმანათლებლო ინსტიტუტებისა და ოჯახების სექსუალობისაგან დაცლა ჰომოსექსუალობის რეპრესირების სპეციფიკურ სახეს იღებს. რევოლუციური ფრონტი საფრანგეთის საგანმანათლებლო სისტემაში გაბატონებული ნორმების ანალიზის საფუძველზე შემდეგს ასკვნიდა: ,,პედაგოგიკა ჰეტერონორმატიული დისციპლინაა'', რომელიც სხეულის ჰეტეროსექსუალ სუბიექტად გადაქცევას ისახავს მიზნად. თუმცა, ჰომოსექსუალური სურვილი სრულიად არ არის რეპრესირებული, ის ჩანაცვლებული, შეცვლილი და შეფარულია ამხანაგური ურთიერთობების ჰომოეროტიკული სერიებით, რომლებიც ფრანსუა დ'იუბონეს ან დელფის ფემინისტური კრიტიკის პერსპექტივიდან ფემინურობისა და პასიურობის ერთდროული უარყოფის საფუძველს წარმოადგენენ. ანუსის გადაკეტვა სხეულის დეფემინიზაციაა. ეს გენიტოპოლიტიკური რეჟიმია, რასაც დებონი ფალოკრატიულს უწოდებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ კაცებს პენისები აქვთ, ხოლო ქალებს კი - არა. აქ მთავრი ისაა, რომ კაცები ისე წარმოგვიდგენენ თავს, თითქოს მათ ანუსი არ გააჩნიათ. პრობლემა არ მომდინარეობს ,,ქალების'' სხეულში პენისის შურის აღძვრით, არამედ ის ,,მასკულინურ'' სხეულებში ანუსის უარყოფისგან იქმნება. იმისთვის, რომ ასწავლო და ისწავლო (ჰომოსექსუალად ყოფნა), საჭიროა დახურო ანუსი, თავიდან აირიდო პასიურობა.

გოგო, ლესბოსელი, მთლიანი ანუსი

მაგრამ რა მოსდის ღრუ ორგანოს? სად იკარგება ამ ამბავში გოგოს ანალური ხვრელი?

თავიდან შერერის ,,პერვერტულ პედაგოგიკასა'' და ჰოკენჰეიმის ,,ჰომოსექსუალურ სურვილში'' ოიდიპოსის პრინციპსა და მასკულინურ ანუსზეა საუბარი – ემილი და მისი ურთიერთობები მასწავლებელთან. ჩვენ ვხედავთ ყოვლისმცოდნე პედაგოგს, რომელიც ერთდროულად ზედამხედველი და მაკონტროლებელია და, ასევე, დიდი სიამოვნების მიმღები. ემილის, რომელსაც აქამდე აღტაცებით ეკავა ხელში საკუთარი პენისი, პედაგოგი ხელში აწვდის ფანქარს და წერას ასწავლის. თუმცა, ჩვენ არაფერი ვიცით გოგონაზე, რომელსაც არც პენისი აქვს და არც მასტურბირებს. ამდენად, გოგო (hollow viscera, ლესბოსელი, ბუჩი), როგორც ჩანს, გამორიცხულია მასტურბაცია-წერა-განათლების ციკლიდან, რომელსაც მასკულინური პედაგოგიკა ავითარებს.

ამ ზუსტ და პროვოკაციულ ანალიზში არ თავსდება საგანმანათლებლო ინსტიტუტის იმგვარი გაგება, რომელიც, როგორც ტერეზა დე ლორეტი აღნიშნავს, სხეულების ,,გენდერირების პოლიტიკური ინდუსტრიაა''. თუკი, როგორც შერერი ამბობს, სექსუალობისგან დაცლა, ან სხეულის ჰეტეროსექსუალური ნორმალიზება, როგორც ამას ჰოკენჰეიმი აღნიშნავს, არსებობს, ეს არის ნორმატიული მასკულინობისა და ფემინურობის შექმნის შედეგი. ჩვენ ჯუდიტ ბატლერთან და დებორა ბრიტსმენთან ერთად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სკოლა (შეიძლება ეს უნივერსიტეტზე, მუზეუმზე, ბიბლიოთეკაზე, არქივზეც განვავრცოთ) არის პერფორმატიული სივრცე, სადაც სტუდენტის სხეული (რომელშიც უფრო მეტად იგულისხმება კანის მილი, და არა - ბიჭი ან გოგო) სწავლობს, პრაქტიკას გადის და ცდის გენდერული ნორმალურობისა და დევიაციის დისკურსულ, ესთეტიკურ და ბიოპოლიტიკურ მოდელებს.

ბატლერის გადასვლა სქესის ონტოლოგიიდან (სქესი, როგორც ანატომია და არსი), გენდერის პერფორმატიულობისკენ (გენდერი, როგორც კულტურული და ისტორიული პრაქტიკა) საშუალებას გვაძლევს, გადავიაზროთ სექსუალური და გენდერული იდენტობები და აღვიქვათ ისინი, როგორც დისციპლინური ტაქტიკები, როგორც გენდერირების პედაგოგიკური პროცესების შედეგები, იძულებითი განმეორებით ნორმების შეთვისება, რომელიც უგულებელყოფს მათ ისტორიულ და კონტექსტუალურ განზომილებებს და მათ ბუნებრივ მოცემულობებად წარმოგვიდგენს. საგანმანათლებლო სივრცემდე, როგორც მედიუმამდე, (რომელშიც ინსტიტუციონალიზებული ჰეტეროსექსუალობა ნებისმიერი ასამბლეის ნორმას შეადგენს), ქვიარ სხეული (არც მასკულინური და არც ფემინური, არც ბავშვის, ან მოზარდის, არც ადამიანის, ან ცხოველის) ერთადერთია, რომელიც საკუთარ თავს წინააღმდეგობრივ სუბიექტად ააგებს. ის ვერ თანხმდება პედაგოგიკური ნორმალიზაციის პროცესთან. ის მუდამ

ეძებს თავის დაღწევის გზებს, რაც დევიანტური ასამბლეების საშუალებას იძლევა. აქ ქვიარი არც სექსუალურ პრაქტიკას ნიშნავს და არც სექსუალურ იდენტობას, არამედ – ჩაგვრისა და წინააღმდეგობის ძალების შედეგს, ერთი მხრივ, გაძლიერების, მეორე მხრივ კი – რევოლუციური მობილიზაციის სივრცეს.

,,ჰომოსექსუალური სურვილისა'' და ,,პერვერტული პედაგოგიკის'' გამოცემიდან 30 წლის შემდეგ ინტერსექსუალური მოძრაობები სქესი/გენდერის ტრადიციული სისტემის უკანასკნელ ნარჩენებს ებრძოდნენ. ისინი ამხელდნენ ტექნოპოლიტიკურ აპარატს, რომლითაც სექსუალური განსხვავებები ბავშვობიდან აიგება. სიუზან კესლერის კვლევებმა (დღეს დადასტურებულია ინტერსექსი აქტივისტების კრიტიკული პრაქტიკებით, როგორებიც არიან შერილ ეისი და მაურო კაბლარი) აჩვენა, რომ თუკი ინტერსექსს სხეულზე ოპერაციას უკეთებენ და მას ზიანს აყენებენ, ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ სოციალიზაციის ინსტიტუტებს (ოჯახი, სკოლა, ადგილობრივი და სახელმწიფო ადმინისტრაციები…) არ შეუძლიათ, შეეგუონ იმ სხეულებს, რომლებიც გამოწვევის წინაშე აყენებს სქესისა და გენდერის იმ ბინარულ კატეგორიებს, რომლებითაც ისინი მუშაობენ. მასკულინურ ან ფემინურ სქესთან ნორმატიული მიკუთვნებულობის უარყოფით ინტერსექსი სხეული ადამიანად ყოფნის ზღვარზე დგას: ინსტიტუციური თვალთახედვიდან, მას არც სახე აქვს და არც სახელი; ის უბრალოდ ანუსია.

საგანმანათლებლო ინსტიტუციები აქ სქესისა და გენდერის ნორმალიზებისთვის საჭირო ჭკვიან ტექნოლოგიებად გვევლინებიან. დღეს ტრანსგენდერი და ტრანსსექსუალი კრიტიკოსები, როგორებიც არიან დელ ლაგრასი ვოლკანო, დინ სპეიდი და პეტ კალიფა, ამტკიცებენ, რომ სექსუალური რეპროდუქციის კულტურული აპარატის კონტროლს, მიკუთვნებულობას/ნათესაობასა და კულტურული რეპროდუქციის საგანმანათლებლო მოდელების ნორმალიზებას შორის არსებობს კოერსიული განგრძობითობა. მოსალოდნელმა ანალურმა რევოლუციამ საგანმანათლებლო მოდელი წარმატებული უნდა გახადოს. შედეგად კი შესაძლებელია, ის აპარატები გამოავლინოს, რომლებიც დევიანტურ უმცირესობებს (რასის, რელიგიის, გენდერის, სექსუალობის, ასაკის მიხედვით…), ასევე, წინააღმდეგობრივ ისტორიას, დისიდენტურ ნარატივებსა და წინააღმდეგობის პროგრამებს ააგებენ, რომლებიც დაქვემდებარებული სუბიექტების გადარჩენის შესაძლებლობას ქმნის.

ნორმალიზების, კითხვის, წერისა და პედაგოგიკის ისტორია არ არის ნიშნების ისტორია. ის არც ჰერმანევტიკაა. ის არის სხეულების ისტორია, ცოდნის ინკორპორაციის პროცესების სუბიექტივაციაა, რომელიც ქმედების შესაძლებლობებს განსაზღვრავს. ბიოპოლიტიკურად მოზარდობა წიგნის კითხვისა და დახურული ანუსის ასაკია. ჩვენ ჰოკენჰეიმთან შეიძლება ვიკითხოთ, შესაძლებელია თუ არა კითხვა და წერა ღია ანუსით, და როგორი იქნება ანალური წერა და კითხვა.

ნათელია, რომ ცენზურა, ისეთი, როგორიც საფრანგეთში იყო, რასაც ჰოკენჰეიმის, შერერისა და რევოლუციური ფრონტის ტექსტების გამოცემა მოჰყვა ,,ბიჭების სიყვარულზე'', სამედიცინო-სამართლებრივ კატეგორიებში მუტაციის სიმპტომს წარმოადგენდა. მისი საშუალებით დასავლეთმა სახეობების სურვილისა და წარმოების მოდელირება შეძლო. ცოდნისა და კონტროლის სტრატეგიები, რომლებმაც სათავე დაუდო სოციალურ სტიგმატიზაციას ან კრიმინალიზაციას, მე-19 საუკუნის ჰომოსექსუალი, შთანთქმული და ნორმალიზებული ,გეი კულტურიდან'' პედოფილის კულტურამდე, როგორც ადამიანის ახალ შეზღუდვამდე, იცვლებოდა. ჰოკენჰეიმისა და შერერის კითხვისას შეკითხვა უნდა დავუსვათ საკუთარ თავს: რას ნიშნავს პედოფილია? რა პოლიტიკური კავშირი არსებობს ასაკისა და სექსუალობის კონსტრუქტებს შორის? რა არის პედოფილიაში განსხეულებული სოციალური მექანიზმი? რას აწარმოებს და მოიხმარს ეს პედოფილური მექანიზმი? რა კოლექტიურ სიამოვნებას ვიღებთ ბავშვობის სექსუალიზებიდან? რა არის სუბლიმირებული სურვილი პედოფილიის შესახებ პარანოიდული დელირიუმის უკან? საშიში იქნება კოლექტიური პედოფილური სურვილების ცნობა, რომლებიც კოდიფიცირებული და ტერიტორიალიზებულია ოჯახის ინსტიტუტში, რომელიც გვანახებს და გამოგვაგონებინებს პედოფილს, როგორც მდაბიო ფიგურას? რა არის პედოფილური ელემენტი ,,სურვილში, გყავდეს ბავშვი?'' ასევე, რა არის პედოფილური ახალგაზრდა სხეულის მხარდაჭერასა და მის ტექნოლოგიურ რეკონსტრუქციაში?

1973 წელს Recherches-ში გამოქვეყნებულ ტექსტებში რევოლუციური ფრონტის ენამ ახალ პოლიტიკურ მიმართულებას დაუდო სათავე. პედარასტი ბიჭების კოლექტივი ალაპარაკდა. ეს არ არის ზრდასრულთა მოძრაობა, რომელიც არასრულწლოვნების სექსუალობის საფრთხისგან ,,დაცვას'' ან სიამოვნების მიღებისკენ ,,წახალისებას'' ცდილობს, არამედ, ესაა იმ არასრულწლოვანთა მოძრაობა, რომელიც ცდილობს, ახალი განსაზღვრება მიანიჭოს თავიანთი სხეულების საზღვრებს, ისაუბროს საკუთარ სექსუალობაზე, მიიღოს გადაწყვეტილებები სიამოვნებასა და მისი წარმოებისა და რეგულირების გზებზე.

> ,,რევოლუციურმა ფრონტმა არასრულწლოვანთა კომიტეტი შექმნა, რომელიც აღნიშნავს: ჩვენ არ გვინდა, ბიჭები გვცემდნენ, სექსუალურ კავშირს გვაიძულებდნენ, თითქოსდა პლატონური, პედაგოგიკური, რეაქციონერული პედარასტების სექსუალური ობიექტები ვიყოთ. სკოლის თავისუფლება დამოკიდებულია ამგვარი პედარასტებისგან თავისუფლებაზე. თავისუფლების მოძრაობა არის ასევე მოძრაობა არასრულწლოვნებისა და ახალგაზდა პედარასტების წინააღმდეგ''.

ანალური უტოპია

რევოლუციის პირველმა სულ რამდენიმე დღემ რამდენიმე გაკვეთილი კი გვასწავლა. აი, ისინიც. ეს რამდენიმე სიურპრიზია, რომელიც ანუსის კოლექტიურმა გამოყენებამ შეიძლება, გვიჩვენოს. რევოლუციურ ანალურ სიკეთეებს დაარქმევდა ადამიანი, რომ არა მათი გა-ანალურ-ფეისბუქების ან გა ანუს-სფეისების რისკი.

1. ანუსს არც სქესი აქვს და არც გენდერი. ხელის მსგავსად, ისიც სექსუალური განსხვავების რიტორიკის მიღმა დგას. განთავსებულია რა სხეულის ღრმა, ქვედა ნაწილში, ანუსი სახის მაპერსონიფიცირებელ და მაპრივატიზირებელ განსხვავებებს შლის. ანალური ხვრელი გამოწვევის წინაშე აყენებს ფემინურობისა და მასკულინობის იდენტიფიცირების ლოგიკას. ამ ორს შორის არ არსებობს გამყოფი სამყარო. ანუსი პოსტიდენტიტარიანული ორგანოა: ,,ანუსის ნებისმიერი გამოყენება, გარდა სუბლიმირებულისა, იდენტობის დაკარგვის რისკს წარმოშობს''. სექსუალური განსხვავებისა და სახისა და გენიტალიის ანთროპომორფიული ლოგიკის უარყოფით ანუსი (და მისი სხვა უკიდურესი მხარე, პირი) ხელშეუვალი სექსუალური თანასწორობის საფუძველს ქმნის: ყველა სხეული (ადამიანის თუ ცხოველის) ანუსია. ეს არც პენისია და არც ვაგინა, არამედ - ორალურ-ანალური მილი. სექსუალური დემოკრატიის ჰორიზონტზე ადამიანის შემდეგ ანალური ხვრელი დგას, როგორც ორგაზმული ღრუ და მგრძნობიარე არარეპროდუქციული კუნთი, რომელიც საყოველთაოდ არის გაზიარებული.
2. ანუსი ბიოპორტია. ის უბრალოდ სიმბოლო ან მეტაფორა არ არის, არამედ ის შესაყვანი პორტია, რომლის გამოც სხეული ღიად და დაუცველად რჩება. ის იმ პორტალის განზომილებაა, რომელიც მასკულინური ჰეტეროსექსუალური სხეულისთვის ანალურ კასტრაციას მოითხოვს: ყველაფერმა, რაც ფემინურია, შეიძლება, შეაღწიოს და დააბინძუროს მასკულინური სხეულის ანუსი. კასტრირებული ანალური ხვრელის არსებობა სხეულში ბიოპენეტრატორთან ერთად თითქმის აქრობს ჰეტეროსა და ჰომოსექსუალის, აქტიურისა და პასიურის, პენეტრატორისა და პენატრირებულის ოპოზიციებს. ის პენეტრირების მომხდენი პენისის სექსუალობას მიმღები ანუსით ჩაანაცვლებს, ამდენად, გამყოფ ხაზებს შლის გენდერს, სქესსა და სექსუალობას შორის.
3. ანუსი ნულოვანი წერტილივით ფუნქციონირებს, რომლიდანაც ჰეტეროსექსუალური სხეულის დეტერიტორიზაციის ოპერაცია შეიძლება დაიწყოს, ან, სხვა სიტყვებით, სექსუალობის დეგენიტალიზაცია შემცირებულია პენისი-ვაგინა პენეტრაციით. ეს არ ნიშნავს, რომ ანუსი ახალი ცენტრია, არამედ ეს იერარქიებისგან დაცლასა და დეცენტრალიზაციის პროცესის წამოწყებაზე მიუთითებს, რომელიც სხვა ნებისმიერ ორგანოს, ხვრელს, ფორას შესაძლო ანალურ ბიოპორტად აქცევს. ამდენად,

ჩვენ წინაშე ისეთი პრაქტიკები იშლება, რომლებიც შეუძლებელია, დაიყვანო ფემინურობამდე/მასკულინურამდე, ჰომო/ჰეტერო იდენტობებამდე: ოყნა, დილატაცია, ლუბრიკაცია, პენეტრაცია ენით, მუჭით ან დილდოთი… ანალური მექანიზმი მაღლა, ჰეტეროსექსუალურ მექანიზმამდე იწევს. ორგანოების არაიერარქიული კავშირი, სიამოვნების საჯარო რედისტრიბუცია და ანუსის კომუნიზაცია - ყოველივე ეს ,,სექსუალური კომუნიზმის'' მოახლოებაზე მეტყველებს.

4. ისტორიულად ანუსი დამამცირებელ ორგანოდ ითვლებოდა, რომელიც არასდროსაა საკმარისად სუფთა, საკმარისად ჩუმი. ის არასდროსაა და ვერასდროს იქნება პოლიტიკურად კორექტული. ანუსი მხოლოდ ნაგავს, დეთრიტებს აწარმოებს. ამ ორგანოსგან რამე სარგებელს, დამატებით ღირებულებას არ უნდა მოველოდეთ: მას არც სპერმა აქვს, არც კვერცხი, არც სექსუალური რეპროდუქცია შეუძლია. მისი პროდუქტი მხოლოდ ნეხვია. ეკოლოგიური არაწარმოებისთვის ანუსი დიადი ადგილია. ან, უფრო უკეთესი, გასაქცევი ადგილი, საიდანაც კაპიტალი დედამიწაზე ბრუნდება და შავ მიწად გადაიქცევა. თუკი წარმოვიდგენთ, რომ კაპიტალის პროდუქციის სტრატეგიებმა შეიძლება ანალური სიამოვნების რეტერიტორიალიზაცია მოახდინოს, მაშინ ისინი მზად უნდა იყვნენ ნეხვად გადაქცევისთვის.

5. ისეთი ორგანოები, როგორებიცაა ბიო ან ტექნოპროტეზები, ჰეტეროსექსუალურ ლიბიდურ ეკონომიკაში ანალურია: დილდოები, ნაზალური და ორალური ხვრელები, იმპლანტები, წინასწარ არსებული ჭრილობები ან ხვრელები, მათ შორის, პენატრაციის განზრახვით შექმნილნი. ვაგინა, რომელიც უშვილოა და რომელიც ჰეტეროსექსუალური მექანიზმიდან გამოყოფილი ,,ღრუ ორგანოა'', ცდილობს ,,აივსოს'', რათა გახდეს ანალური მახასიათებლების მქონე ორგანო. ეს ეხმიანება მონიკ ვიტიგის განმარტებას, რომლის თანახმადაც: ,,ლესბოსელებს არ აქვთ ვაგინა.'' იმავე ნაირად, მკაცრად ბიოპოლიტიკური თვალსაზრისიდან, ასევე სახეობების სექსუალური რეპროდუქციის ეკონომიკის მიხედვით, ფაგოტებს პენისები არ აქვთ, რადგან ისინი ვაგინების პენატრაციას არ ახდენენ (ამის სანაცვლოდ, ისინი აღწევენ ანუსებში, პირის ღრუში…). ისღა დამრჩენია, საუკეთესო რამ გისურვოთ: გისურვებთ ანუსის კომუნიზებას. იარაღი მოკრძალებულია, მაგრამ მოქმედების შესაძლებლობა - საკმაოდ ახლო და უსაზღვრო.